

**2011**



**წლიური ანგარიში**

**ANNUAL REPORT**



<b>ბ</b> გენერალური დირექტორის მიმართვა	2
STATEMENT OF THE CHIEF EXECUTIVE OFFICER	
<b>ბ</b> ბიზნეს პროფილი	7
BUSINESS PROFILE	
<b>ბ</b> სოციალური პასუხისმგებლობა და ქველობობელება	19
SOCIAL RESPONSIBILITY AND CHARITY	
<b>ბ</b> ფინანსური შედეგები	25
FINANCIAL RESULTS	
<b>ბ</b> დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება	30
CONSOLIDATED FINANCIAL STATEMENTS AND INDEPENDENT AUDITORS REPORT	



ბენერალური დირექტორის მიმართვა

## **STATEMENT OF THE CHIEF EXECUTIVE OFFICER**



STATEMENT OF THE CHIEF EXECUTIVE OFFICER

გენერალური დირექტორის მიმართვა



**დავით ცაავა**  
გენერალური დირექტორი  
DAVID TSAAVA  
Chief Executive Officer

## გენერალური დირექტორის მიმართვა

„ბაზისბანკი“ განვითარებაზე ორიენტირებული უნივერსალური ტიპის ბანკია, რომელიც მომხმარებელს მაღალი ხარისხის მომსახურებასა და მრავალფეროვან პროდუქტებს სთავაზობს.

ბანკს დიდი ისტორია აქვს და მისი დღევანდელი სახე სწორედ წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების შედეგია.

2011 წელი მორიგი წარმატებული წელი იყო ჩვენი ბანკისათვის. რასაც ადასტურებს სტაბილურად მზარდი ფინანსური მაჩვენებლები და ინვესტორების დიდი ინტერესი „ბაზისბანკის“ მიმართ.

გასული წლების განმავლობაში მიღწეულმა დადებითმა შედეგებმა ჩვენი საქმიანობის გაფართოების საფუძველი მოგვცა. 2011 წლის განმავლობაში ბაზისბანკი კიდევ უფრო მეტად აქტიური იყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მიმართულებით, რასაც ხელს უწყობდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა და მათგან საკრედიტო ხაზების მოზიდვა.

2012 წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულება კვლავ სტრატეგიული იქნება „ბაზისბანკისათვის“, რადგან გვჯერა, რომ სწორედ ეს მიმართულება ქმნის ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ჩვენი საქმიანობის გაფართოების თვალსაჩინო მაგალითია „ბაზისბანკის“ ახალი სათაო ოფისის გახსნა. შენობა, რომელშიც ის განთავსებულია, ისტორიულ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. მის შექნასა და რეაბილიტაციაში ბანკმა 5 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

გასული წლის განმავლობაში, ისევე, როგორც წინა წლებში, „ბაზისბანკი“ გამოირჩეოდა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით. ბანკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საქველმოქმედო თუ სოციალური პროექტების დაფინანსებაში.

ჩვენ ვთვლით, რომ „ბაზისბანკის“ შემდგომი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მომსახურების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, რაც გულისხმობს ბანკის კლიენტებისათვის კიდევ უფრო მრავალფეროვანი საბანკო პროდუქტების და მაღალი დონის მომსახურების შეთავაზებას.

მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და მადლობა გადავუხვადო კლიენტებს ჩვენი მომსახურებით სარგებლობისა და ლოიალობისათვის, ასევე ჩვენს პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს გამოცხადებული ნდობისა და აღიარებისთვის და „ბაზისბანკის“ მთელს გუნდს, რომლის სწორი და ეფექტური მუშაობის შედეგია ბანკის მიერ მიღწეული წარმატებები.



## STATEMENT OF THE CHIEF EXECUTIVE OFFICER

### STATEMENT OF THE CHIEF EXECUTIVE OFFICER

Basisbank is a development-oriented universal bank offering premium quality services and diverse products to its customers.

The bank has a great history and its present image is the result of the solid experience gained over the years.

2011 was another successful year for our bank, confirmed with continuously increasing financial indicators and growing investor interest in Basisbank.

The positive results achieved in the past years gave us the platform for expanding our business. Backed by the strong support and new credit lines received from our international partners, Basisbank remained increasingly active in SME crediting during 2011

This strategic area will continue to be a priority for Basisbank in 2012, as we believe that it is this area that creates most jobs in the country and, consequently, makes a significant contribution to the development of the national economy.

Another brilliant example of our business expansion is opening of the new Head Office. The new Head Office building is a historical architectural monument. The bank invested 5 million GEL into buying and renovating the building.

Just like in previous years, the bank stood out for its high sense of social responsibility over the past year. The bank took an active part in the financing of a variety of charity or social projects.

We believe that one of the most important preconditions for further development of our bank is a continued improvement of service quality which we plan to achieve by offering a wider variety of products and by rendering high level of service to our customers.

I'd like to take an opportunity to thank our customers for using our services, our local and international partners –for the demonstrated trust and recognition and the entire Basisbank team, as the success scored by the Bank is the result of their commitment and efficient work.

ბიზნეს პროფილი

**BUSINESS PROFILE**



## სერვისცენტრების ქსელი

2011 წლის ბოლოს ბაზისბანკი წარმოდგენილი იყო თექვსმეტი სერვისცენტრითა და ორმოცდათორმეტი ბანკომატით.

კლიენტების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით და ოპერატიულობის თვალსაზრისით, ბანკის ყველა სერვისცენტრი უნივერსალური ტიპისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათვანში ხდება, როგორც საცალო ასევე კორპორატიული კლიენტების მომსახურება და მათვის ყველა სახის პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება.

ბაზისბანკის სერვისცენტრები დაკომპლექტებულია მაღალკულიფიციური და გამოცდილი კადრებით, რომლებიც მუდმივად გადიან ტრენინგებს სერვის პლუსის და პროფესიული გადამზადების მიმართულებით.

სწორედ მათი დამსახურებაა კლიენტების ლოიალური დამოკიდებულება ბანკის მიმართ.

## Service center network

At the end of 2011, Basisbank was represented by sixteen service centers and fifty one ATMs.

For the improvement of customer service and operations efficiency, all the bank service centers are universal, which means that each service center serves retail, as well as, corporate customers and offers them the whole spectrum of products and services.

The bank service centers are staffed with highly skilled and experienced professionals who go through regular service plus and professional retraining.



2011 წლის ერთ-ერთი უმსხვილესი პროექტი ახალი სათაო ოფისის გახსნა იყო.

შენობა, რომელშიც განთავსებულია ახალი სათაო ოფისი, ისტორიულ არქიტექტურულ ძეგლს წარმოადგენს. მის შეძენასა და რეაბილიტაციაში „ბაზისბანკი“ 5 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა.

It is our staff's outstanding contribution that the customer loyalty towards Basisbank is increasing. One of the largest projects in 2011 was the opening of the new Head Office.

The building accommodating the new Head Office is a historical architectural monument. The bank invested 5 million GEL into buying and renovating it.



ოფისის საზეიმო გახსნაზე ლენტი თბილისის მერმა გიგი უგულავამ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ციხისთავმა გაჭრეს.

The new Head Office was opened by Tbilisi Mayor Mr. Gigi Ugulava, President of the National Bank of Georgia Mr. George Kadagidze and Mr. Zurab Tsikhistavi, the Chairman of Basisbank's Supervisory Board.

ცერემონიალზე შედგა თბილისის სამხატვრო აკადემიის  
მაგისტრატურის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენის  
გახსნა.

The ceremony hosted the opening of the exhibition of Tbilisi  
Academy of Fine Arts post-graduate students' works.



ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ვახტანგ კახიძის ორკესტრის სიმებიანი კვარტეტი.

ღონისძიებაზე ასევე მოეწყო „ბაზისბანკის ბიზნესმენთა კლუბის“ პრეზენტაციაც. კლუბი ხელს შეუწყობს საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას და წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებას.



მოწვეულმა სტუმრებმა საზეიმო ვითარებაში ხელმოწერებით დაადასტურეს კლუბში გაწევრიანება.

The musical arrangement of the event was provided by Vakhtang Kakhidze Orchestra String Quartet.



Basisbank Businessmen Club was also presented at the event. The Club is expected to promote the development of business relations and sharing of experience among the members. The guests confirmed their Club membership by solemn signature at the opening ceremony.



## ახალი პროდუქტები

2011 წელი საქმაოდ წარმატებული იყო პროდუქტების განვითარების კუთხითაც. მომხმარებელთა ინტერესების გათაღისწინებით „შეიქმნა ახალი საპანკო პროდუქტები: მობილური ბანკინგი, „შენი იპოთეკა“ „სწრაფიფული“ და „სასარგებლო ავტოსესხი“

მობილური ბანკინგი მაგათიკომის და ბაზისბანკის ერთობლივი პროდუქტია. ის არის გადახდის უახლესი, მოხერხებული და ძალიან მოქნილი სისტემა, რომელიც ძალიან უმარტივებს მომხმარებელს სხვადასხვა საპანკო ოპერაციების წარმოებას, მხოლოდ მობილური ტელეფონის საშუალებით. წესისმიერი ოპერაციის განხორციელება შესაძლებელია მაშინაც კი, როდესაც ტელეფონის ბალანსიამოწურულია.

„შენი იპოთეკა“ არის იპოთეკური სესხი ლარში და განკუთვნილია იმ მომხმარებლისთვის, ვისაც უძრავი ქონების შეძენა ან გარემონტება სურს. პროდუქტის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ სესხი გაიცემა ლარში და ძალიან კომფორტულია მათვის, ვისაც შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში აქვს, ამ შემთხვევაში მომხმარებელი დაცულია სავალუტო რისკებისგან.

„სასარგებლო ავტოსესხი“ განკუთვნილია იმ მომხმარებლისთვის, ვისაც ახალი ან მეორადი ავტომობილის შეძენა სურს. პროდუქტის ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ კლიენტს სურვილის შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს 2 თვითი საშეღავთო პერიოდით, სესხით სარგებლობის ყოველიწლის განმავლობაში.

## New products

The year 2011 was quite a success in terms of product development, too. A number of new bank products such as Mobile Banking, Your Mortgage and Useful Auto Loan were created to meet the customer interests.

Mobile Banking is a joint Magticom and Basisbank product. It is the newest, most convenient and flexible payment system enabling customers to perform a variety of bank transactions simply by using their mobile phones. Any transaction can be performed even when the balance expires

Your mortgage is a mortgage loan in GEL and is intended for customers wishing to buy or renovate real estate. The main advantage of the product is that the loan is issued in GEL and is very comfortable for those earning income in national currency. In such case, users are protected from currency risks.

Useful Auto Loan is intended for the customers wishing to buy brand new or secondhand cars. One of the product advantages is that a customer may apply for a 2-month grace period each year during the loan amortization.



**SME, გაყიდვები**

გასული წლების მსგავსად, გაყიდვების და პერსონალური მომსახურების განცოფილების მთავარი მიზანი იყო ახალი იურიდიული და ფიზიკური პირების მოზიდვა, არსებულების პერსონალური მომსახურება და შენარჩუნება. 2011 წლის პრიორიტეტად დაისახა მცირე და საშუალო სესხების (500 000 აშშ დოლარამდე) საკრედიტო განაცხადების მოზიდვა, რასაც განცოფილების თანამშრომლებმა წარმატებით გაართვეს თავი. თითოეული თანამშრომლის გეგმები საშუალოდ 100%-ით შესრულდა, რაც დადებითად აისახა განცოფილების საერთო გეგმაზე.

შესაბამისად, ბანკმა შეძლო მნიშვნელოვნად გაემყარებინა პოზიციები აღნიშნულ სეგმენტზე.

ჯამურად SME კლიენტების საკრედიტო პორტფელის მოცულობა 2011 წლის განმავლობაში 86% გაიზარდა.

ასევე ამ პერიოდში აქტიური მუშაობა ხორციელდებოდა SME სექტორის საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ვადაგადაცილებული სესხების მოცულობა.

„ბაზისბანკის“ ბიზნესში ასევე უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ფიზიკური პირების სეგმენტს. ეს ეხება, როგორც საკრედიტო ასევე სადეპოზიტო პორტფელს.

ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური გარემოს სტაბილურობის კვალდაკვალ, წინა პლანზე წამოიწია დაკრედიტების გააქტიურების ამოცანამ.

ამ მიზნების მისაღწევად ბანკის საცალო გაყიდვების პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ეფექტურად ათვისებული გაყიდვების არხები, მომხმარებლებისთვის განსაკუთრებული შეთავაზებების გაკეთებადამათთან პერსონალური მიღება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2011 წლის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა, როგორც სადეპოზიტო, ასევე საკრედიტო პორტფელის ზრდაც.

**SME, Sales**

Just like in previous years, the main goal of the Sales and Personal Service Department was the attraction of individuals and legal entities on one hand, and the maintenance and personal services provision to the existing customers on the other hand. The priority for 2011 was to attract SME segment to increase portfolio of loans (up to 500000 USD) and the Department employees successfully accomplished this objective. On average, each employee fulfilled his plan by 100% that had a positive reflection on the overall plan of the Department.

As a result, the bank was able to significantly strengthen its positions in the segment. In total, SME credit portfolio increased by 86% over 2011.

In parallel, the bank made active efforts to improve the quality of SME credit portfolio., as a result the volume of overdue loans dropped significantly.

Individual clients also make up a considerable part of Basisbank's credit and deposit portfolios.

In the wake of the overall economic stability in the country, the objective to step up crediting came to the fore.

To accomplish the objective, the Retail Sales Policy is based on such factors as efficiently developed sales channels, special offers and individual approach to customers.

In the light of the above, Basisbank witnessed a considerable growth in both deposit and credit portfolios in 2011.

## საერთაშორისო მიღწევები

„ბაზისბანკის“ მიმართ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან აღიარება და ინტერესი მისმა მოქნილობამ, სტაბილურობამ, პროგრესულობამ და სწორმა პოლიტიკამ განაპირობა.

2009 წლის ბოლოს დაწყებული თანამშრომლობა OPIC-ისა და „ბაზისბანკის“ შორის, როდესაც აშშ-ის მთავრობის კერძო ინვესტიციების კორპორაციამ ბანკს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისთვის 5 მლნ აშშ დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზი გამოუყო, კვლავ გაგრძელდა.

## International achievements

The recognition and growing interest shown in Basisbank by international financial institutions came thanks to the bank's flexible, stable, progressive and sound policy.

The cooperation between OPIC and Basisbank that started towards the end of 2009 when Overseas Private Investment Corporation (a US government corporation) allocated a \$5 million credit facility to Basisbank for financing Small and Medium Enterprises, still continued.

Proceeding from the successful cooperation, OPIC made a decision to allocate an additional \$5 million investment package to Basisbank, including \$3 million to finance Small and Medium Enterprises and \$2 million as a subordinated loan.



„ბაზისბანკი“ საერთაშორისო სტანდარტებისა და სწორი მენეჯმენტის მქონე ბანკია, რომელმაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ანგარიშგასაწევი და სტაბილური ფინანსური ინსტიტუტის სტატუსი დაიმკვიდრა საქართველოში. OPIC-ისა და „ბაზისბანკის“ წარმატებული თანამშრომლობიდან გამომდინარე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, ბანკს დამატებით კიდევ 5 მლნ აშშ დოლარის მოცულობის საინვესტიციო პაკეტი გამოვუყოთ, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ისევე როგორც წინა საკრედიტო ხაზი, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მოხქარდება.“

### კავეთ ღვეველი

OPIC-ის პროექტების დაფინანსების დირექტორი

“Basisbank” is the bank of international standards and proper management, bearing the status of one of the major, considerable and stable financial institutions in Georgia. Considering the successful cooperation between “Basisbank” and OPIC, we have made a decision to allocate the additional investment pack of 5 million USD to the Bank, which will also basically, like the previous credit line, will be used for SME development in Georgia”

**Kenneth Angel**  
Projects Financing Director of OPIC

ასევე, აღსანიშნავია ბაზისბანკისა და კომერცბანკის თანამშრომლობა, კომერცბანკმა ბაზისბანკს სავაჭრო ოპერაციებისთვის საკურედიტო ხაზი გამოუყო.

აღნიშნული ხაზი ხელს შეუწყობს და მნიშვნელოვნად გაუმარტივებს საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებში ჩართულ კლიენტებს პარტნიორებთან ურთიერთობას.

ბანკი აქტიურად თანამშრომლობს ევროპისა და აზიის მსხვილ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთანაც, როგორებიცაა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), მსოფლიო ბანკი (WB), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი (BSTDB) და სხვა.

აღსანიშნავია საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-ის მიერ „ბაზისბანკისთვის“ სარეიტინგო მაჩვენებლების დადასტურების ფაქტიც.

სააგენტოს ექსპერტებმა, ემიტენტის დეფოლტის გრძელვადიანი რეიტინგი, „ბაზისბანკს“ „B-“ დონზე დაუტოვეს, პროგნოზით „სტაბილური“. „ბაზისბანკის“ რეიტინგი ასახავს, რომ ამ დროისათვის ბანკის კაპიტალიზაცია ადექვატურია და საკურედიტო პორტფელში, პრობლემური სესხების მაჩვენებელი დაბალია. ბანკმა ნლის განმავლობაში ფონდირების ბაზის დივერსიფიცირება წარმატებით მოახერხა-ნათქვამია Fitch Ratings-ის ოფიციალურ განცხადებაში.

საერთაშორისო კონკურსზე „სუამ-ის საუკეთესო ბანკები“ ნომინაციაში „ყველაზე სანდო ბანკი“ გამარჯვებულად „ბაზისბანკი“ დასახელდა.

კონკურსის შედეგები დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-მა და საერთაშორისო გამომცემლობა «КБС-Издат» (უკრაინა) შეაჯამეს. კონკურსის ლაურეატები სდაჯილდოვების საზეიმო ცერემონია სუამ-ის სამდიგნოში შედგა.

კონკურსის მიზანია, იმ საუკეთესო საბანკო დაწესებულებების განსაზღვრა, რომლებიც ოპერირებენ სუამ-ის ქვეყნების ტერიტორიებზე (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა), მათი საქმიანობის სხვადასხვა მიმართულების მიხედვით..

The cooperation between Basisbank and Commerzbank is also worth mentioning – Commerzbank allocated a credit facility to Basisbank to finance trade operations.

The line is expected to facilitate and considerably ease the interaction of customers conducting international trade operations with their partners.

Basisbank has closely cooperated with major European and Asian international financial institutions such as European Bank for Reconstruction and Development (EBRD), World Bank (WB), United States Agency for International Development (USAID), International Foundation for Development of Agriculture (IFAD), Black Sea Trade and Development Bank (BSTDB).

It is also worth mentioning that Fitch Ratings, an international ratings agency, affirmed its ratings for Basisbank.

The agency experts left Basisbank's Long-term Issuer Default Rating to a B level, with Stable Outlook. The rating of Basisbank shows that the bank's current capitalization is adequate and that the share of problem loans in the credit portfolio is low.

According to Fitch Rating's official statement, during the year the bank successfully diversified its funding base.

Basisbank won the nomination of Most Reliable Bank in the international contest GUAM Best Banks.

The results of the contest were summed up by GUAM, a democratic and economic development organization and «КБС-Издат», international publishing house (Ukraine). The contest winner award ceremony was held in GUAM Secretary Office.

The goal of the contest is to identify the best banking institutions operating in GUAM countries (Georgia, Ukraine, Azerbaijan, Moldova) in different areas of their business.

## თანამდებობები და თანამდებობები აროვანის მომზადება

2011 წელი სტაბილური წელი იყო ადამიანური რესურსების და ადმინისტრაციული მართვის განყოფილებისთვის. გაგრძელდა ბანკის დაკომპლექტება ახალი კადრებით, გამოცხადდა ვაკანსიები და მივიღეთ 45 ახალი თანამშრომელი. 40-მდე სტუდენტმა გაიარა სტაურება გაყიდვების და პერსონალური მომსახურების და მცირე და საშუალო სესხების განყოფილებებში.

2011 წელი განსაკუთრებით გამორჩეული აღმოჩნდა კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ. მსოფლიო ბანკის ტრენერის მიერ კორპორატიული და საცალო დაკრედიტების, გაყიდვების და პერსონალური მომსახურების, კორპორატიული, მცირე და საშუალო სესხების, კლიენტთა ფინანსური ანალიზის განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ 3 კვირიანი ტრენინგი შემდეგ თემებზე: სესხების ადმინისტრირება (Loan Administration) და ბიზნეს სიმულაციები.

ასევე, დაიგეგმა პროექტების მართვის ტრენინგი საშუალო რგოლის მენეჯმენტისთვის (20 თანამშრომელი). განხილულია თითქმის ყველა სასწავლო ცენტრის მიერ შემოთავაზებული პროგრამა, მათ შორისაა: თავისუფალი უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, მართვის აკადემია, CTC. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში თანამშრომლები გაეცნობიან პროექტის დაგეგმვის, ორგანიზებისა და კონტროლის მეთოდებს, შეიძენენ პროექტის მართვისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და დაეუფლებიან თეორიას.



## Personnel and personnel capacity building

2011 was a stable year for HR and Administrative Management Department. The Department continued staffing, opened vacancies and hired 45 new employees. About 40 students completed an internship program in Sales and Personal Service and Small and Medium Loans Departments.

The year 2011 proved to be particularly outstanding in terms of capacity building. A World Bank trainer conducted a 3-week training in Loan Administration and Business Simulations for Corporate and Retail Crediting, Sales and Personal Service, Corporate Small and Medium Loans, and Customer Financial Analysis Divisions.

The bank arranged trainings in project management for a medium level management (20 employees). The bank considered all the programs offered by almost all educational establishments, including Independent University, Caucasus University, Management Academy, CTC.



2011 წლის ბოლოს ტრადიციულად ბანკის თანამშრომელებისთვის მოეწყო კორპორატიული საღამო. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული თანამშრომლები და გათამაშდა უამრავი პრიზი.



ასევე, ადამიანური რესურსების და ადმინისტრაციული მართვის განყოფილების ინიციატივით მოეწყო სპორტულ-გასართობი ღონისძიება. თანამშრომლებს საშუალება ჰქონდათ ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ ბოლინგში, ბილიარდში, მაგიდის ჩოგბურთსა და კარაოკეში. თითოეულ სახეობაში გამოვლინდა გამარჯვებული და მათ გადაეცათ საჩუქრები.



As part of the training, the employees will learn planning, organization and control methods, study the theory and acquire necessary project management skills.

At the end of 2011, the bank traditionally held a corporate evening for its employees. Winners in various nominations were revealed and a number of prizes were awarded.

A sports and amusement event was also organized under the initiative of the HR and Administrative Management Department. The bank employees had the opportunity to compete with each other in bowling, billiards, table tennis and karaoke. Winners in respective contests were identified and awarded prizes.





სოციალური პასუხისმგებლობა  
და ქველმოქმედება

## SOCIAL RESPONSIBILITY AND CHARITY



**სოციალური  
ქვეყნის მიზანი**

**პასუხისმგებლობა**

**და**

**Social responsibility and charity**

**ჩაზისძენება  
საქველმოქმედო საფარის გამორჩევა**

2011 წლის 8 მარტს, „თბილისი მარიოტში“ „იმედის გმირების“ საქველმოქმედო საღამო გაიმართა. აქცია ბოდბისხევის მოხუცთა თავშესაფარის დასახმარებლად ჩატარდა. ბაზიბანების აქციაში მონაწილეობა გადაწყდა ქეთევან ლევან ჭავილის ისტორიის მოსმენის შემდეგ, რომელმაც სოფელში ბებიის ხსოვნის საპატივცემულოდ პანსიონიდაარსა და ხანდაზმულ ადამიანებს უვლის.

**ჩაზისძენება  
ჩარსელონები  
გამართულ  
ფონდ იავნანას საქველმოქმედო აქციაში  
მიმღებ მონაცილეობა**

9 მარტს, ბარსელონას თეატრ "ლიცეუში", ფონდ "იავნანასა" და ესპანურ ფონდ "SOS"-ის ერთობლივი საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

ღონისძიება მსოფლიოში ცნობილი საოპერო მომღერ-ლის მონსერატ კაბალიეს პატრონაჟითჩატარდა. აღსანიშნავია, რომ კონცერტში მსოფლიოში აღიარებული ტენორმა რამონ ვარგასმა და მიგელ გომეს-მარტინესმა მიიღეს მონაწილეობა, რომლებიც აგვისტოს ომის დროს დაობლებული ბავშვების დასახმარებლად 2008 წლის 25 სექტემბერს "იავნანას" მიერ გამართულ აქციას შეუერთდნენ.

მათ გარდა, საღამოზე რენატო ბრუზონიმ, "იავნანას" მეგობარმა მიშეღ კრაიდერმა, სოპრანო თამარ ივერმა და მსოფლიო ბანმა პაატა ბურჭულაძემ იმღერეს.

ღონისძიებას ესპანეთის მთავრობის წევრები, სამეცნ ოჯახის წარმომადგენლები, საქართველოდან კი "იავნანას" მხარდამჭერთა დელეგაცია დაესწრო.

კონცერტი ტელემარათონის ფორმით წარიმართა, შემოსული თანხა კი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაობლებულ ბავშვებს მოხმარდება.

აქციაში წვლილი ბაზისბანკმაც შეიტანა. ბაზისბანების მხრიდან, იავნანას ფონდთან თანამშრომლობის შედეგად, აღნიშნული სახის საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობაუკვეტრადიციად იქცა.

**Basisbank Funds Imedi Heroes Charity Evening**

8 March –Tbilisi Marriott Hotel hosted Imedi Heroes Charity Evening. The event was held to help Bobdikhevi Nursing Home.

Basisbank decided to take part in the event after hearing Ketevan Lekveishvili's story who, in memory of her grandmother, opened a nursing home in the village and takes care of the elderly there.

**Basisbank Takes Part in the lavnana Foundation  
Charity Event Held in Barcelona**

9 March – the Grand Theatre of Liceu in Barcelona hosted a joint charity event of lavnana Foundation and SOS, a Spanish foundation.

The event was held with the patronage of Montserrat Caballé, a renowned opera singer. It is noteworthy that Ramon Vargas, a famous tenor, and Miguel Gomes-Martinez took part in the concert, who joined the event organized by lavnana Foundation on September 25, 2008 to donate funds to the children orphaned in the war of 2008.

Besides, Renato Brusoni, Michel Kreider, a friend of the lavnana, soprano Tamar Iveri and Paata Burchuladze, a world bass, took part in the evening. The event was honored with the attendance of the members of the Spanish Government, members of the Spanish Royal Family, and Georgian delegation.

The concert was held as a TV-marathon. The proceeds were donated to the children orphaned in the war of August 2008.

Basisbank also made a contribution to the event. As a result of cooperation with lavnana Foundation, it has become a tradition for Basisbank to take part in such charity events.



**ბაზისპანის მხარდაჭერით საქართველოს  
ეაციონალური ბალეტის სუბიჟილების  
კონცერტები გაიმართა.**

10-11 ივნისს ფილარმონიის დიდ საკონცერტო  
დარბაზში, ბაზისპანის მხარდაჭერით, საქართველოს  
ნაციონალური ბალეტის "სუხიშვილების" კონცერტები  
გაიმართა.

კონცერტზე პირველად იქნა წარმოდგენილი ის ახალი  
ცეკვები, რომლებიც უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა  
უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში დადგა. საათ-  
ნახევრიანი პროგრამა მოიცავდა 15 ახალ ნომერს, მათ  
შორის იყო ორი მუსიკალური კომპოზიციაც.



**ბაზისპანი მიხეილ იაშვილის  
ნამუშევრების გამოფენა გაიმართა**

3 ივნისს, ქეთევან წამებულის №1-ში, ბაზისპანის  
საგამოფენო დარბაზში შედგა მიხეილ იაშვილის  
ნამუშევრების გამოფენის პრეზენტაცია. დამთვა-  
ლიერებლებს შორის იყვნენ როგორც ბანკის  
თანამშრომლები, ასევე მოწვეული სტუმრები.  
პრეზენტაციაზე ნაჩვენები იქნა მიხეილ იაშვილის მიერ  
გადაღებული ავტობიოგრაფიული ფილმი, რომელსაც  
ფონად მიყვებოდა ცნობილი ჯგუფის "Beatles"-ის  
მუსიკა.

1 ივლისს, კი ბაზისპანის მხარდაჭერით უკვე პათუმის  
ხელოვნების მუზეუმში, ქართველ 80-იანელ მხატვართა  
ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. 29 მხატვარმა  
ფერწერა, აქვარელი, გრაფიკა და ქანდაკება წარადგინა.

### Basisbank Sponsors the Sukhishvili Georgian National Ballet Concerts

10-11 June – the Sukhishvili Georgian National Ballet concerts were held in the Philharmonic Hall with Basisbank support.

The new dances choreographed by Iliko Sukhishvili, Jr., for the last 10 years were presented at the concert for the first time. An hour and a half long program included 15 new performances, including a musical composition.

### Basisbank Hosts Mikheil Iashvili Exhibition

3 June – the presentation of the exhibition of Mikheil Iashvili's works was held in Basisbank Exhibition Hall at 1 Ketevan Tsamebuli Avenue. The exhibition attracted the bank employees as well as the invited guests. The event presented an autobiographic film shot by Mikheil Iashvili against the background of the Beatles music.

1 June – Basisbank sponsored the exhibition of Georgian artists of the eighties that was held in Batumi Art Museum. 29 artists presented their works in oil, water colours, graphics and sculpture.



**ჩაზისპანება 4-5 ივნისს გათუმასა და აჭარის მაღალითიანეთში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭარით გამართული საერთაშორისო სახელმიწოდებელი კონფერენცია დააფინანსდა.**

კონფერენციაზე საქართველოს, თურქეთის, უკრაინის, გერმანიის, ლიტვის, ნორვეგიის, ამერიკისა და აზერბაიჯანის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, ექსპერტებმა და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებმა 150 მოხსენება წარმოადგინეს. ორი დღის განმავლობაში მეცნიერები, დარგის სპეციალისტები და ბიზნესმენები ერთობლივად მუშაობდნენ ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების აქტუალურ საკითხებზე. კონფერენციის მონაწილეებმა რეკომენდაციები შეიმუშავეს, რომელიც შესაბამის სამსახურებს გადაეგზავნება.

### **ჩაზისპანება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში SAP-სისტემის მომზადების მხარდაჭარის მომსახურება ვაიპინა**

30 ივნისს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში SAP University Alliances-ის პრეზენტაცია გაიმართა.

2011 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი არის SAP University Alliances-ის წევრი, რაც მას უფლებას აძლევს, სასწავლო პროგრამაში ჩართოს SAP-სისტემის სწავლება და გამოიყენოს იგი სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების მომზადებისას. ბაზისბანკის ფინანსურმა მხარდაჭერამ დიდი როლი ითამაშა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის SAP University Alliances-ში განევრიანებაში. ასევე, ბაზისბანკმა შეიძინა უნივერსიტეტისთვის SAP-სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება. ბანკი უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული არაერთი პროექტის პარტნიორია.

SAP-სისტემის სწავლება იგეგმება ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო სპეციალობის დამამთავრებელ კურსებზე. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაზაფხულის სემესტრიდან ამოქმედდება ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა, რომელშიც მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ SAP - სისტემის სწავლებასთან დაკავშირებული კურსებია.

### **Basisbank Sponsors International Scientific-Practical Conference**

4-5 June – Basisbank funded an International Scientific-Practical Conference held with Shota Rustaveli State University support in Batumi and in High Mountainous Regions of Ajara.

At the conference, professors and instructors from the leading Georgian, Turkish, Ukrainian, German, Latvian, Norwegian, American and Azeri universities as well as experts and tourism industry representatives presented 150 reports. For two days, scientists, industry specialists and businessmen worked jointly on the topical issues in the development of tourism. The conference participants formulated recommendations for the attention of the relevant agencies.

### **Basisbank Acquires SAP Maintenance for Ilia State University**

30 June – Ilia State University hosted the presentation of SAP University Alliances.

Since 2011, Ilia State University has been a member of SAP University Alliances, allowing it to engage SAP system teaching in its curriculum and use it in preparing post-graduate and doctoral theses. Basisbank's financial support contributed greatly towards Ilia State University's accession to SAP University Alliances. Basisbank also purchased SAP maintenance for Ilia State University. Basisbank has sponsored a number of the projects implemented by the University.

SAP teaching is expected in undergraduate Business Administration courses. Besides, from the summer semester, Ilia State University will launch a postgraduate program in IT Management, a significant component of which is the courses related to SAP teaching.



## ჩაზისპანება UG ოლიმპიადაში გამარჯვებულები დააჯილდოვა

14 ოქტომბერს, საქართველოს უნივერსიტეტის დიდ საგამოცდო დარბაზში, ინგლისური ენის ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოვება გაიმართა. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

გამარჯვებულთა სამეული საქართველოს უნივერსიტეტმა და ბაზისპანჯმა დააჯილდოვეს სერტიფიკატებით და დააფინანსეს მათი სწავლა მიუნისტერის უნივერსიტეტში, (გერმანიაში).



## ჩაზისპანება ჩაის ფესტივალი დააფინანსა

ჩაის ფესტივალი მეჩაიეობის ხელშეწყობას და წახალისებას ემსახურება, წელს იგი მექვსედ გაიმართა და ტრადიციულად ბაზისპანჯის მხარდაჭერით ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღეს კავკასიის რეგიონის მეჩაიებმა და ჩაის იმპორტიორმა კომპანიებმა. წარმოდგენილი იქნა ჩაის უნიკალური სახეები კავკასიის რეგიონებიდან.

ფესტივალზე ჩატარდა სხვადასხვა სახის, მათ შორის შავი, მწვანე და მცენარეული სამკურნალო ჩაის პროდუქციის პრეზენტაცია-დეგუსტაციები, მოენყოფნა პროდუქციის კონკურსები.

## Basisbank Awards UG Olympiad Winners

14 October – Georgian University Examination Hall hosted the ceremony to award the winners of the English Olympiad. The pupils from various secondary schools had taken part in the Olympiad.

Georgian University and Basisbank awarded the three winners with certificates, funding their study in Munster University (Germany).

## Basisbank Sponsors Tea Festival

The tea festival is intended to promote and support tea growing. This year it has been held for the 6<sup>th</sup> time, traditionally with Basisbank sponsorship. Tea growers from Caucasus as well as tea importing companies took part in the festival.

Unique sorts of tea from different parts of Caucasus were presented.

Different sorts of tea, including black, green, and plant curative tea products were presented and tasted, and competitions of presented products were held at the festival.



ფინანსური შედეგები

**FINANCIAL RESULTS**



## ფინანსური შედეგები

2011 წელს ბანკმა კვლავ დაამტკიცა, რომ მიუხედავად ბაზარზე არსებული ყველა სირთულეებისა და 2008-2009 წლების ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის შედეგად წარმოქმნილი პრობლემებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, ბანკს შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა.

მოლიანობაში, 2011 წელი ბანკისთვის კარგი წელი იყო. 2009 წელს პორტფელში 16%-იანი შემცირების შემდეგ, 2011 წელს ბანკმა თავისი საკრედიტო პორტფელში 14.5%-იანი ზრდა დააფიქსირა (2010: 14%), ხოლო აქტივების 14%-იანი ზრდა ისე, რომ წლის ბოლოს ბანკის აქტივებმა 159 მილიონი ლარი (2010: 140 მილიონი ლარი; 2009: 119 მილიონი ლარი) შეადგინა. აქტივების მოცულობის თვალსაზრისით, “ბაზისბანკს” მეთერთმეტე ადგილი უკვეია და მისი წილი საბანკო სექტორის აქტივებში 1.33%-ს შეადგენს.

უმოქმედო აქტივები და ბანკის საკუთრებაში არსებული დასაკუთრებული ქონებები წარმოადგნს იმ ძირითადი ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენდნენ ბანკის წლიურ ფინანსურ შედეგებზე.

2007 წელს, წინაკრიზისულ პერიოდში, ბანკის აქტივების ზრდამ თითქმის 32% შეადგინა (70% სექტორში). ზრდის ასეთი მაღალი მაჩვენებლების პირობებში, საკრედიტო რისკების კონცენტრაციის დონე გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა ძირითადად სამოქმედობლო და სამშენებლო სექტორებში. წინაკრიზისულ პერიოდში ბანკის აქტივები ძირითადად ამ სექტორებში იყო კონცენტრირებული. მომდევნო წლებში, ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული მნიშვნელოვანი ქონება. ადგილობრივი სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი რეზერვები შეიქმნა ამ აქტივებზე, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონია ბანკის კაპიტალის კოეფიციენტზე და წმინდა მოგებაზე (კაპიტალზე მთლიანმა ზეგავლენამ შეადგინა 5.3. მილიონი აქტივების დანაკარგების რეზერვის ხარჯების სახით და 5.2 მილიონი კაპიტალიდან გამოქვითვების სახით, დასაკუთრებული ქონების ნანილის შეილობილ კომპანიებზე გადაცემის გამო). ამან გამოიწვია ბანკის პირველადი კაპიტალის შემცირება 2008 წლიდან 2011 წლამდე 21 მილიონდან 19 მილიონ ლარამდე (პირველადი კაპიტალი 2009 წლის ბოლოს შეადგენდა 19 მილიონ ლარს, ხოლო 2010 წლის ბოლოს — 17.5 მილიონ ლარს) და საზედამხედველო კაპიტალის 22.4 მილიონი ლარიდან 22 მილიონ ლარამდე შემცირება (საზედამხედველო კაპიტალი 2009 - 2010 წლებში 18 მილიონ ლარს შეადგენდა).

ამის მიუხედავად, ბანკმა მოახერხა ამ პრობლემების გადალახვა და ბანკის საქმიანობის ოპტიმალურ დონეზე შენარჩუნება.

## FINANCIAL RESULTS

In 2011 BasisBank proved once again that despite of all difficulties existing in the market and the previous years' problems that emerged in the aftermath of 2008-2009 economic and political crisis which affected the bank's financials and which still remained unresolved, the bank was able to successfully generate respectable results.

Overall 2011 was a good year for the Bank. Following the 16% recession of portfolio in 2009, in 2011 the bank recorded 14.5% growth in loan portfolio (2010: 14%) and 14% growth in its assets amounting to 159 million Gel at the end of the year (2010: 140 million Gel, and 2009: 119 million gel). In terms of the assets size, BasisBank ranks 11th on the list of banks, holding 1.33% share of the banking sector assets.

The main factors influencing the bank's annual financial results were the impact of non-performing assets and the bank-owned properties. In 2007, the pre-crisis period, growth of the bank's assets accounted for nearly 32% (70% in the sector). With such high growth rates, the concentration level of credit risks increased. The growth occurred mainly in consumer and construction sectors. In pre-crisis period the bank's assets were highly concentrated in these sectors. In subsequent years the bank has foreclosed a substantial amount of property on defaulted loans. Following the local standards substantial reserves were created on these assets which negatively affected the bank's capital ratios and net profit (total impact on capital was 5.3 million in terms of reserve expenses and 5.2 million in terms of deductions from capital due to transfers of part of foreclosed properties to subsidiaries. Thus resulting in corresponding reduction of the bank's Tier 1 capital from 21 million Gel in 2008 to 19 million Gel in 2011 (Tier 1 capital at end 2009 was 19 million Gel, at end of 2010 17.5 million Gel) and regulatory capital from 22.4 million Gel to 22 million Gel (Regulatory capital was 18 million Gel at the end of 2009 and 2010)

However the bank managed to succeed in mitigating these problems and preserve the bank's activity at an optimal level. In May 2011, the bank attracted USD2m of subordinated loan from the Overseas Private Investment Corporation (OPIC) in order to support its Tier II capital. As a result the regulatory capital ratio improved from 12.8% (the CAR before Sub-loan) to 15% (afterwards), the minimum requirement is 12%.

In 2011, the Bank gained 3.3 million Gel in net profit, that is the best result since 2007 where net profit amounted to 3.8 million Gel. Income before taxes amounted to 3.5 million gel which is 70% up from the prior year results (2.1 million Gel). Operating income (pre-impairment income from banking operations before provisions) equaled 4.5 million Gel and is by 1.3 million more than the income of 2010 (3.2 million Gel).

2011 წლის მაისში, მეორადი კაპიტალის გაზრდის მიზნით, ბანკმა აშშ—ს მთავრობის კერძო ინვესტიციების კორპორაციისგან (OPIC) მოზიდა \$2 მილიონიანი სუბორდინირებული სესხი . შედეგად, საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 12.8%-დან 15%-მდე გაუმჯობესდა (მინიმალური კოეფიციენტია 12%).

2011 წელს ბანკმა წმინდა მოგების სახით 3.3 მილიონი ლარი მიღო, რაც საუკეთესო შედეგია 2007 წლის შემდეგ, სადაც წმინდა მოგებამ 3.8 მილიონი ლარი შეადგინა. შემოსავალმა გადასახადების გამოქვითვამდე 3.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 70%-ით აღემატება 2010 წლის შედეგებს (2.1 მილიონი ლარი). საოპერაციო შემოსავალმა (საბანკო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი დარეზერვებამდე) 4.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 1.3 მილიონი ლარით აღემატება 2010 წლის შემოსავალს (3.2 მილიონი ლარი).

მოგება დარეზერვებამდე 43%-ით გაიზარდა 2010 წლის იგივე მაჩვენებელთან შედარებით, სადაც ზრდამ 38 % შეადგინა. შემოსავლის მთავარი წყარო იყო სესხებიდან და სახაზინო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლები. წმინდა შემოსავალი 11%-ით გაიზარდა (2010: 6%), არასაპროცენტო შემოსავალმა 2011 წლის მთლიანი შემოსავლების 34 % შეადგინა (33% 2010 წელს). ამ შემოსავლების ძირითად ნაწილს შეადგენს საკომისიო შემოსავლები 48% (2010: 49%), უცხოური ვალუტის გადაცვლის ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალები 24 %, ჯარიმები სესხებზე 15%, დასაკუთრებული აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 11 %. 2011 წელს მიღებულ 3.3 მილიონ ლარიანი წმინდა მოგების გენერირებას ძირითადად ხელს უწყობდა სესხების ზრდა და ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარჯები სესხების დანაკარგების რეზერვებზე. მართალია, არასაოპერაციო ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობის კოეფიციენტი შედარებით მაღალი რჩება, მაგრამ ბანკმა მოახერხა ეს კოეფიციენტი 2010 წელის 74%-იდან 2011 წელს 66%-მდე ჩამოყანა (80% - 2009 წელს), რაც ძირითადად საოპერაციო შემოსავლის ზრდის ხარჯზე მოხდა. 2011 წელს ბანკის მომგებიანობის მაჩვენებელი გაუმჯობესდა, აქტივების უკუგება და კაპიტალის უკუგება 2010 წლის 8.1 % და 1.3 %-იდან 2011 წელს შესაბამისად 12.2 %-მდე და 1.9 %-მდე გაიზარდა (2009: -1.8% ანდ -9.9%).

ბანკის მიერ გაცემული სესხების მოცულობა 14.5 %-ით გაიზარდა (2010: 14%), ყურადღება ძირითადად მცირედა საშუალო ბიზნეს სესხების გაცემაზე იყო კონცენტრირებული.

Pre-impairment profit increased by 43% compared to 38% increase in 2010. Main drivers of generated income were interest income from loans and Gov. Securities. Net income increased by 11% (2010: 6%), non interest income accounted for 34% of all revenue earned in 2011 (33% in 2010). This income was mostly attributed to fees and commission income 48% (2010: 49%), earnings on FX conversion 24%, penalty for loans 15% and income received from the disposal of repossessed property 11%. Net profit of 3.3 million gel earned in 2011 was mainly supported by loan growth and less significant credit costs. Though the cost to income ratio remains relatively high the bank managed to reduce it from 74% in 2010 to 66% in 2011 (80% in 2009), due to increase of operating income. The Bank's profitability in 2011 improved, return on average assets (ROA) and return on average equity (ROE) increased from 8.1% and 1.3% in 2010 to 12.2% and 1.9% in 2011 respectively (2009: -1.8% and -9.9%).

The bank's volume of lending has risen by 14.5 %, (2010: by 14%), with a particular focus on SME business loans extension. As of the end 2011, 40 million Gel was issued on SME and 31 million Gel on retail loans. Corporate loans comprise only the minor part of the bank's portfolio 4 million i.e. 5%.

The Bank continued to manage credit risks to keep them at low level. The portfolio contains no material concentrations of risks. At end 2011, loans that were more than 30 days past due stood at 3.9%, 3% of loans were restructured. Total impairment reserves on loans equaled to 4.6% (2010: 3.4%, 2009: 5.6%). Loan impairment reserves (LIR) covered NPLs (overdue loans more than 30 days) by 106%.

In 2011 deposit volume grew by 2.5% and reached 98 million Gel (2010: 95 million gel). Such increase is moderate in comparison with 2010 year growth of 18% and with the sector growth of 23%, but the Bank's liquidity stood at comfortable level, liquid assets (cash, short-term interbank placements) made up 22% of total assets at end of 2011(end-2010: 25%). In total liquid assets government securities amounted to 20 million Gel (2010: 9 million Gel). These funds are fully liquid and freely convertible in cash. The securities can either be sold or pledged to receive a loan from NBG.

2011 წლის ბოლოსთვის, მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემულმა სესხებმა 40 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო საცალო სესხებმა — 31 მილიონი. კორპორატიული სესხები ბანკის პორტფელის უმნიშვნელო ნაწილია და 4 მილიონს შეადგენს, რაც მთლიანი პორტფელის 5%-ია.

ბანკმა მოახერხა საკრედიტო რისკების დაბალ დონეზე შენარჩუნება. პორტფელი რისკების მნიშვნელოვან კონცენტრაციებს არ შეიცავს. 2011 წლის ბოლოს, 30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხები შეადგენდა 3.9 %-ს, 3 % სესხებისა კი რესტრუქტურიზირებული იქნა. სესხების დანაკარგების რეზერვმა 4.6% შეადგინა (2010: 3.4%, 2009: 5.6%). სესხის დანაკარგების რეზერვი არამუშა სესხებს (30 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული სესხები) 106 %-ით ფართავდა.

2011 წელს, დეპოზიტების მოცულობა 2.5% -ით გაიზარდა და 98 მილიონი ლარი შეადგინა (2010: 95 მილიონი ლარი). ზრდა მცირეა, სექტორში დაფიქ-სირებულ 23 %-იან ზრდასთან შედარებით, მაგრამ ბანკის ლიკვიდობა საიმედო დონეზე დარჩა. 2011 წლის ბოლოს ლიკვიდურმა აქტივებმა (ნაღდი ფული, მოკლევადიანი ბანკუთაშორისი დეპოზიტები) მთლიანი აქტივების 22 % შეადგინა (2010: 25 %). მთლიან ლიკვიდურ აქტივებში სახაზინო ფასიანმა ქაღალდებმა 20 მილიონი ლარი შეადგინა (2010: 9 მილიონი). ეს ფონდები სრულად ლიკვიდურია და სრულად კონვერტირდება ნაღდ ფულში. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება გაიყიდოს ან დაგირავდეს სეპ-ისგან სესხის მისაღებად.

2011 წლის ბოლოს, ბანკის კაპიტალმა 25.4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ბანკის მთლიანი აქტივების 16 %-ს შეადგენს. წლის განმავლობაში ბანკის კაპიტალი 15%-ით გაიზარდა ძირითადად წმინდა მოგების ხარჯზე.

At the end of 2011, the bank's equity amounted to 25.4 million Gel, which accounts for 16% of the bank's total assets (2010: 2.3 million Gel). During the year, the bank equity grew by 15% mainly at the expense of net profit.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა და  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები

## **Consolidated Financial Statements and Independent Auditors Report**

## **სს “გაზისპანკის”**

ნაერთი ფინანსური ანგარიშები

2011 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისთვის

## **შინაარსი**

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა.....	3
მთლიანი მოგების ნაერთი ანგარიში.....	4
ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიში .....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიში.....	6
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაერთი ანგარიში .....	7
შენიშვნები ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე.....	8

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “ბაზისბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს

ჩვენ შევამოწმეთ 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს “ბაზისბანკის” (შემდგომში – “ბანკი”) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში – “ჯგუფი”) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რომლებიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ნაერთ ანგარიშს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის ნაერთ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილების ნაერთ ანგარიშსა და და და ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთ ანგარიშს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი საბუღალტრო პროცედურების მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებლოდა აღნიშნული ნაერთი ფინანსური ანგარიშების “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” თანხმად მომზადებასა და სამართლიანად წარმოადგენაზე. სსენტებული პასუხისმგებლობა მოიცავს იმ შიდა კონტროლის პროცედურების შემუშავებას, განხორციელებასა და დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ნაერთი ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, რომლებიც არ შეიცავს თაღლითობითა თუ შეცდიმით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს;

### აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერგე ჩატარებული აუდიტის საფუძვლზე გავაკეთოთ დასკვნა აღნიშნულ ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები და აუდიტი დავიგებოთ და ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე. რომ ნაერთ ფინანსურ ანგარიშებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

აუდიტი გულისხმობს ისეთი პროცედურების განხორციელებას, რომელთა მიზანია აუდიტური მტკიცებულების მოპოვება ნაერთ ფინანსურ ანგარიშებში ასახული თანხებისა და მონაცემების შესახებ. აუდიტორების მიერ პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია მათ მიერ ფინანსურ ანგარიშებში თაღლითობისა თუ შეცდომის გამო არსებული მნიშვნელოვანი უზუსტობების რისკების შეფასებაზე. სსენტებული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიერ ნაერთი ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიანად წარმოდგენასთან, არსებულ პირობებში სათანადო აუდიტის პროცედურების შემუშავების მიზნით და არა ოგენიზაციის შიდა კონტროლის პროცედურების ეფექტურობაზე მოსახურებისა თუ დასკვნის გაკეთების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშების მომზადებისას სელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და ბუღალტრული გაანგარიშებების სისტორის შეფასებას, აგრეთვე მოლიანობაში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების სისტორის შეფასებას.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი საკმარის და სათანადო საფუძვლს გაბაძლებს დასკვნის გასაკეთებლად.

### დასკვნა

ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული ნაერთი ფინანსური ანგარიშები სამართლიან ასახავს, ყველა არსებითი ასახების გათვალისწინებით, “ჯგუფის” საერთო ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი ფინანსური საქმიანობის საერთო შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად.

“KPMG CIS Limited”-ის თბილისის ფილიალი  
2012 წლის 7 მაისი

**სს „გაზინდანერ“**  
**მოღლიანი შემოსავლის ნაერთი ანგარიში 2011 წლის 31 დეკემბრით**  
**დახულებული წლისთვის**

შენიშვ ნები	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
საპროცენტო შემოსავალი	4	14,479
საპროცენტო სარჯი	4	(6,924)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>7,555</b>	<b>6,810</b>
საქომისიო შემოსავალი	5	3,605
საქომისიო სარჯები	6	(1,547)
<b>წმინდა საქომისიო შემოსავალი</b>	<b>2,058</b>	<b>1,736</b>
წმინდა შემოსავალი უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან	7	1,806
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	2,051
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>	<b>13,470</b>	<b>11,906</b>
გაუფასურების ზარალი	9	(1,019)
პერსონალის ხარჯები	10	(4,976)
სხვა ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები	11	(3,956)
<b>მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე</b>	<b>3,519</b>	<b>2,070</b>
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი	12	(414)
<b>პერიოდის მოგება</b>	<b>3,105</b>	<b>1,784</b>
სხვა მთლიანი შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე		
სარჯალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების სამართლიანი დირექტულების წმინდა ცვლილება	227	-
მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასება	-	173
<b>პერიოდის სხვა მთლიანი შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე</b>	<b>227</b>	<b>173</b>
<b>პერიოდის მთლიანი შემოსავალი</b>	<b>3,332</b>	<b>1,957</b>
<b>მთლიანი შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:</b>		
- ბანკის კაპიტალის მფლობელებს	3,332	1,957
- არასაკონტროლო წილებს	-	-
<b>პერიოდის მთლიანი შემოსავალი</b>	<b>3,332</b>	<b>1,957</b>

5-58 გენერაციული წარმოდგენილი ნაერთი ფინანსური ანგარიშები დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ 2011 წლის 7 მაისს და ამ უკანასკნელის სახელით აღნიშნულ ანგარიშებს ხელი მოაწერეს შემდეგმა პირებმა:

დავით ცაავა  
გენერალური დირექტორი

ლია ასლანიძე შეიძლია  
ფინანსური დირექტორი

მთლიანი შემოსავლის ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. მთლიანი შემოსავლის ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

**სს „გაზინდანერ“**  
**ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიში 2011 წლის 31 დეკემბრით**  
**დახულებული წლისთვის**

	<b>შენიშვ ნები</b>	<b>2011 ლარი'000</b>	<b>2010 ლარი'000</b>
<b>აძლიერები</b>			
ნაღდი ფული		11,747	11,460
საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღები	13	13,128	17,983
სხვა ბანკებში განთაქსებული სახსრები	14	9,905	5,190
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები			
- ჯგუფის მფლობელობაში არსებული	15	14,376	63
- გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე დაგირავებული	15	5,695	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	16	72,264	63,976
დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები			
- „ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული	17	-	7,165
- გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე დაგირავებული	17	-	2,085
სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები	18	1,953	2,338
საინვესტიციო ქონება		1,295	436
ქონება და მოწყობილობა	19	15,370	15,764
არამატერიალური აქტივები		231	275
სხვა აქტივები	20	13,388	13,660
<b>აქტივები სულ</b>		<b>159,352</b>	<b>140,395</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სხვა ბანკების კუთვნილი დეპოზიტები და ნაშთები	21	5,353	394
გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე გადასახდელი თანხები	22	5,502	2,000
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	23	98,211	95,877
სუბორდინირებული სესხები	24	3,462	-
სხვა ნასესხები სახსრები	24	18,470	18,006
გადაგადებული საგადასახადო ვალდებულება	12	1,005	551
სხვა ვალდებულებები	25	1,711	1,261
<b>მთლიანი ვალდებულებები</b>		<b>133,714</b>	<b>118,089</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	26	5,912	5,912
პრემიი აქციებზე		5,612	5,612
ქონებასთან და მოწყობილობასთან დაკავშირებული გადაფასების ნამეტი		2,361	2,361
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების გადაფასების რეზერვი		227	-
გაუნაწილებელი მოგება		11,276	8,171
ბანკის მფლობელების კუთვნილი მთლიანი კაპიტალი		<b>25,388</b>	<b>22,056</b>
არასაკონტროლი წილები		250	250
<b>მთლიანი კაპიტალი</b>		<b>25,638</b>	<b>22,306</b>
<b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>159,352</b>	<b>140,395</b>

ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. ფინანსური მდგომარეობის ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

**სს “გაზინდანე”**

ფულადი ხახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიში 2011 წლის 31 დეკემბრის  
დახრულებული წლისთვის

შენი შენე ბი	2011 ლარი'000	2010 ლარი'000
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
საპროცენტო და საკომისიო შემოსულობები	16,497	16,165
საპროცენტო და საკომისიო თანხების გადახდა	(8,469)	(7,594)
უცხოური სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობები	1,887	1,754
სხვა შემოსავალი	1,241	1,192
პერსონალის ხარჯები და სხვა მიზიადი ადმინისტრაციული ხარჯები სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	(7,411)	(7,582)
დასაცურუებული აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	752	-
	43	884
<b>საოპერაციო აქტივების ზრდა (კლება)</b>		
საქართველოს ეროვნული ბანკიდან მისაღები სახსრები	(6,605)	(1,752)
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები	(3,023)	7,407
კლიენტებზე გაცემული სესხები	(12,810)	(13,345)
სხვა აქტივები	(138)	(1,546)
<b>საოპერაციო გაღდებულებების ზრდა (კლება)</b>		
სხვა ბანკების კუთხით დეპოზიტები და ნაშთები	5,005	(469)
გამოსყიდვის ხელშეკრულებების საფულელზე გადასახდელი თანხები	3,500	2,000
კლიენტების მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები	5,137	14,666
სხვა ვალდებულებები	167	(73)
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>(4,227)</b>	<b>11,707</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების შემცნა	(28,967)	-
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების რეალიზაცია და დაფარვა	10,449	-
დაფარვამდე დაკავშირული ინვესტიციების შემცნა	-	(9,299)
დაფარვამდე დაკავშირული ინვესტიციების რეალიზაცია და დაფარვა	9,432	6,133
ქონებისა და მოწყობილობების შემცნა	(821)	(4,575)
არამატერიალური აქტივების შემცნა	-	(127)
ქონებისა და მოწყობილობების რეალიზაცია	75	4
საინვესტიციო ქონების რეალიზაცია	580	-
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(9,252)</b>	<b>(7,864)</b>
<b>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>		
სებორდინირებული სესხების შემოსულობები	3,462	-
სხვა ნახესხები სახსრების წმინდა შემოსულობები	1,521	3,257
<b>ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>4,983</b>	<b>3,257</b>
<b>ნაღდი ფულისა და ნაღდი ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)</b>		
ნაღდი ფულზე და ნაღდი ფულის ეკვივალენტებზე საგალუტო პერსის ცვალებადობის შედეგები	(331)	250
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	30,681	23,331
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები პერიოდის პოლონე	33	21,854
	<b>21,854</b>	<b>30,681</b>

ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსური ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. ფულადი სახსრების მოძრაობის ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

## ლარი'000

## ბანკის კაპიტალის მფლობელების კუთხით

საწესდებლის კაპიტალი	პრემია აქციებზე	ქინებისა და მოწყობლის გადაფასებიდან მიღებული შემოსავადი	სარეალიზაციოდ ხელმისაწყომი ფინანსური აქციების გადაფასებიდან მიღებული შემოსავადი	გაუნაწილებელი მოუქმედი	სულ	არასაკონტროლ ო წილები	მოდიანი კაპიტალი	
ნაშთი 2010 წლის 1-ლი იანგრის მდგომარეობით მოლიანი შემოსავალი სულ	5,912	5,612	2,188	-	6,387	20,099	250	20,349
ჟერიოდის მოგება	-	-	-	-	1,784	1,784	-	1,784
სხვა მოლიანი შემოსავალი								
მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასება, საშემოსავლო გადასახადის გარეშე	-	-	173	-	-	173	-	173
ჟერიოდის სხვა მოლიანი შემოსავალი	-	-	173	-	-	173	-	173
სხვა მოლიანი შემოსავალი სულ	-	-	173	-	1,784	1,957	-	1,957
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<b>5,912</b>	<b>5,612</b>	<b>2,361</b>	<b>-</b>	<b>8,171</b>	<b>22,056</b>	<b>250</b>	<b>22,306</b>
ნაშთი 2011 წლის 1-ლი იანგრის მდგომარეობით მოლიანი შემოსავალი სულ	5,912	5,612	2,361	-	8,171	22,056	250	22,306
ჟერიოდის მოგება	-	-	-	-	3,105	3,105	-	3,105
სხვა მოლიანი შემოსავალი								
სარეალიზაციოდ ხელმისაწყომი ფინანსური აქციების სამართლიანი დირექტულების წმინდა ცვლილება, საშემოსავლო გადასახადის გარეშე	-	-	-	227	-	227	-	227
სხვა მოლიანი შემოსავალი სულ	-	-	-	227	-	227	-	227
ჟერიოდის სხვა მოლიანი შემოსავალი სულ	-	-	-	227	3,105	3,332	-	3,332
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<b>5,912</b>	<b>5,612</b>	<b>2,361</b>	<b>227</b>	<b>11,276</b>	<b>25,388</b>	<b>250</b>	<b>25,638</b>

კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაერთი ანგარიშის განხილვა უნდა მოხდეს ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე თანდართულ შენიშვნებთან ერთად. კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ნაერთი ანგარიში წარმოადგენს ნაერთი ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

## 1 შესავალი

### (ა) ძირითადი საქმიანობა

წინამდებარე ნაერთი ფინანსური ანგარიშები მოიცავს „ბაზისბანკის“  
(შემდგომში – „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში  
ერთობლივად – „ჯგუფი“) თანდართულ ფინანსურ ანგარიშებს. „ბანკის“  
ძირითადი შვილობილი კომპანიები წარმოდგენილია აქტივების მართვისა და  
სამშენებლო კომპანიებით.

სს „ბაზისბანკი“ არის საქართველოს საზოგადოების ფორმით მოქმედი ბანკი,  
რომელიც საქართველოში 1993 წელს დაფუძნდა. ბანკის ძირითადი საქმიანობაა  
დეპოზიტების მიღება და კლიენტთა ანგარიშების წარმოება, სესხებისა და  
გარანტიების გაცემა, საკასო და ანგარიშების თავრაციებისა და ფასიან  
ქაღალდებთან და უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება.  
ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სეპ“) მიერ.  
ბანკს საქართველოს მასშტაბით აქვს 18 მოქმედი ფილიალი.

ბანკის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი 0103, ქეთევან  
წამებულის გამზირი №1. ბანკის მიერ წლის განმავლობაში დასაქმებულ პირთა  
საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 251-ს (270 – 2010 წელს).

2009 წლის 28 სექტემბერს ბანკმა დააფუძნა შვილობილი კომპანია  
სახელწოდებით შპს „ბაზისის აქტივების მართვა“. 2009 წლის 29 სექტემბერს  
„ბაზისის აქტივების მართვაზე“ შეიძინა სამშენებლო კომპანია „ამხანაგობა  
პალადი იმპერიალის“ 75%-იანი წილი. 2011 წლის 29 დეკემბერს ბანკმა 100%-იანი  
წილობრივი მონაწილეობით დააფუძნა შვილობილი კომპანია – აქტივების  
მარტვის კომპანია სახელწოდებით შპს „ბაზისის აქტივების მართვა - ქობულეთი“.

### ბანკის ძირითადი შვილობილი კომპანიებია:

სახელწოდება	რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა	წილი %	
			2011	2010
შპს „ბაზისის აქტივების მართვა“	საქართველო	აქტივების მართვა	100%	100%
შპს „ბაზისის აქტივების მართვა - ქობულეთი“	საქართველო	აქტივების მართვა	100%	-
”ალადი იმპერიალი“	საქართველო	მშენებლობა	75%	75%

აქციონერები	2011		2010	
	წილი, %	წილი, %	წილი, %	წილი, %
ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ)	15.00%	15.00%	15.00%	15.00%
ზურაბ ციხისთავი	13.92%	13.92%	13.92%	13.92%
კლდარ მილდიანი	9.89%	9.89%	9.89%	9.89%
ზაზა ნიშნიანიძე	8.51%	8.51%	8.51%	8.51%

**სს “გაზინდანე”**

2011 წლის 31 დეკემბრით დახრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე  
თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს  
ამავე ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

აქციონერები	2011	2010
	წილი, %	წილი, %
მურმან ამბოლაძე	6.58%	6.58%
არჩილ მაზიაშვილი	6.33%	6.33%
ქოვან სოსელია	5.62%	5.62%
ტარას ნიუარაძე	4.58%	4.58%
გია პეტრიაშვილი	4.57%	4.57%
გიორგი ვაჩნაძე	4.44%	4.44%
გოდერძი მელაძე	4.42%	4.42%
თენგიზ მაზიაშვილი	4.38%	4.38%
სხვა პირები	11.76%	11.76%
	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

ტრანზაქციები დაკავშირებულ მსარეებთან ასახულია 32-ე შენიშვნაში.

### (ბ) ბიზნეს გარემო

#### ქართული ბიზნეს გარემო

ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფს საქმიანობა უხდება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავაც ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და სშირად შეცვლას, რაც სხვა სამართლებრივ და საგადასახადო სირთულეებთან ერთად დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშება ასახავს “ჯგუფის” საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. მომავალი ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტისეული შეფასებისგან.

## 2 მომზადების საფუძველი

### (ა) განცხადება შესაბამისობის თაობაზე

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშებები მომზადებულია “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” (“ფასს”) შესაბამისად.

### (ბ) გაანგარიშების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადდა ისტორიული დირებულების პრინციპზე დაყრდნობით გარდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივებისა, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და მიწისა და შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული თანხით.

### (გ) საოპერაციო და ანგარიშგების გალუტა

ბანკისა და მისი შვილობილი კომპანიების საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი (“ლარი”), რომელიც ასახავს მათთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების უმრავლესობის ეკონომიკურ შინაარსს.

გარდა ამისა, ლარი ის ვალუტაა, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

#### **(დ) შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების “ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებების გაკეთებას და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც გავლენას ახდენს აღრიცხვის პოლიტიკაზე და აქტივებისა და პასივების, შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშგებაში ასახულ მოცულობებზე. ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

საადრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად. საადრიცხვო შეფასებებისა კორექტირებების აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც კორექტირდება საადრიცხვო შეფასებები, აგრეთვე იმ სხვა მომავალ პერიოდებში, რომლებზეც ეს შეფასებები ახდენს გავლენას.

აღრიცხვის პროცედურების გამოყენებისას შეფასების გაურკვევლობის და კრიტიკული გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი სფეროების შესახებ ინფორმაცია შეტანილია შემდეგ შენიშვნებში:

- სესხის გაუფასურების შეფასებები – შენიშვნა 16

#### **(ე) ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურებში და ასახვაში**

2011 წლის 1-ლი იანვრიდან, ჯგუფმა ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურები შეცვალა შემდეგ სფეროებში:

- ჯგუფმა რეტროსპექტულად გამოიყენა ბასს 24 (გამოქვეყნებულია 2009 წელს) – დაკავშირებული მხარეების ანგარიშებება. ამ ცვლილებას მნიშვნელოვანი გავლენა არ პქონია დაკავშირებული მხარეების ანგარიშებაზე;
- ჯგუფმა რეტროსპექტულად გამოიყენა ფასს 7 – ფინანსური ინსტრუმენტების: ანგარიშება, რომელიც გამოქვეყნებულია 2010 წლის ფასს-ის გაუმჯობესების ფარგლებში. ეს ცვლილებები ძირითადად დაკავშირებულია უზრუნველყოფასთან და სხვა საკრედიტო გარანტიებთან, აგრეთვე იმ ხელახლა შეთანხმებულ აქტივებთან, რომლებიც სხვაგარად ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული იქნებოდა.

### **3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურები**

ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილი მნიშვნელოვანი პროცედურები  
ზედმიწევნით გამოიყენება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებში  
წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ და მათ ზედმიწევნით იყენებენ ჯგუფში  
შემავალი ყველა სუბიექტები, გარდა 2(ე) შენიშვნით გათვალისწინებული  
შემთხვევისა, რომელშიც განხილურია ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურებში  
შეტანილი ცვლილებები.

## (ა) კონსოლიდაციის საფუძველი

### (i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებსაც აკონტროლებს  
“ბანკი”. კონტროლი ხორციელდება, როდესაც “ბანკი” უფლებამოსილია  
დაარეგულიროს ორგანიზაციის ფინანსური და სამუშაო პოლიტიკა ისე, რომ  
მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური  
ანგარიშები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებაში  
კონტროლის ფაქტობრივად დაწყების დღიდან კონტროლის ფაქტობრივად  
შეწყვეტის დღემდე.

### (ii) კონსოლიდაციასთან დაკავშირებით გაუქმებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული  
მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან, არ  
არის გათვალისწინებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების  
მომზადების დროს.

## (ბ) არასაკონტროლო წილი

არასაკონტროლი წილები შვილობილ კომპანიებში არსებული ის კაპიტალია,  
რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ არ მიეკუთვნება ბანკს.

არასაკონტროლო წილი ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ  
ანგარიშში წარმოდგენილია კაპიტალში, ბანკის კაპიტალის მფლობელების  
გუთვილი კაპიტალისგან ცალკე. არასაკონტროლი წილი მოგებაში ან ზარალში  
თუ სხვა მთლიან შემოსავალში ცალკე აისახება მთლიანი მოგება-ზარალის  
კონსოლიდირებულ ანგარიშში.

## (გ) უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება “ჯგუფის” საწარმოების შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს არსებული გასაცვლის კურსის მიხედვით. ანგარიშების დღეს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და პასივები ხელახლა გადაიყვანება საოპერაციო ვალუტაში, აღნიშნულ დღეს არსებული გადაცვლის კურსის მიხედვით. ფულადი ჰუნქების მიხედვით საკურსო მოგება ან ზარალი იანგარიშება, როგორც სხვაობა პერიოდის დასაწყისში საოპერაციო ვალუტაში ამორტიზირებულ ლირებულებასა (რომელიც კორექტირდება პერიოდის განმავლობაში მოქმედი პროცენტისა და განხორციელებული გადახდების მიხედვით) და საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ სავალუტო კურსით გადაყვანილ უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ლირებულებას შორის. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იანგარიშება სამართლიანი ლირებულებით, გადაიყვანება საოპერაციო ვალუტაში სამართლიანი ლირებულების განსაზღვრის დღეს არსებული გადაცვლის კურსით. არაფულადი ჰუნქები, რომლებიც იანგარიშება ისტორიული ლირებულებით უცხოულ ვალუტაში, გადაიყვანება ტრანზაქციის დღეს არსებული გადაცვლის კურსის გამოყენებით. ხელახლა გადაყვანის შერდეგად გამოწვეული საკურსო სხვაობების აღიარება ხდება შემოსავალში ან ზარალში გარდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი სავალო ინსტრუმენტების ან ფულადი ნაკადების კვალიფიციური ჰეჭების ხელახლა გადაყვანით გამოწვეული სხვაობებისა კონვერტაციის შედეგად წარმოქმნილი საკურსო სხვაობებისა, რომლების აღიარებაც ხდება სხვა მთლიან შემოსავალში.

## (დ) ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ბანკნოტებს და მონეტებს, სებ-სა და სხვა ბანკებში განთავსებულ შეუზღუდვაშ სალდოებს (ნოსტრო ანგარიშებს) და სებ-ში განთავსებულ ერთდღიან დეპოზიტებს. სებ-ში დეპოზირებული სავალდებულო რეზერვი არ განიხილება ნაღდი ფულის ეკვივალენტად მის გამოტანაზე დაწესებული შეზღუდვების გამო. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღირიცხება ამორტიზებული ლირებულებით.

## (ე) ფინანსური ინსტრუმენტები

### (i) კლასიფიკაცია

მენეჯმენტი ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას ახორციელებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

სესხები და დებიტორული დაგალიანებები წარმოადგენს ფიქსირებული ან გაანგარიშებადი გადახდების მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც არ არის აქტიურ ბაზარზე კვოტირებული, გარდა იმ აქტივებისა, რომლებსაც ბანკი:

- უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;

- თავდაპირველი აღიარებისთანავე განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით;
- თავდაპირველი აღიარებისთანავე განსაზღვრავს, როგორც სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომს ან,
- სავარაუდოდ ვერ ამოიღებს არსებითად ყველა თავის თავდაპირველ ინვესტიციას, გარდა კრედიტის გაუარესების გამო.

დაფარვამდე დაკავებული ინვესტიციები წარმოადგენს ფიქსირებული ან გაანგარიშებადი გადახდებისა და ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, რომელთა დაფარვამდე შენარჩუნებაც ბანკს ნამდვილად სურს და შეუძლია კიდეც გარდა შემდეგი აქტივებისა:

- “ჯგუფი” თავდაპირველი აღიარებისთანავე განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით;
- “ჯგუფი” განსაზღვრავს, როგორც სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომს ან,
- ის აქტივები, რომლებიც აქმაყოფილებენ სესხებისა და დებიტორული დავალიანების დეფიციას.

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები ის არა-წარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განისაზღვრება, როგორც სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ან არ კლასიფიცირდება სესხებად და დებიტორულ დავალიანებებად, დაფარვამდე დაკავებულ ინვესტიციებად ან ფინანსურ ინსტრუმენტებად სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის მიხედვით.

### (ii) აღიარება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხორციელდება მაშინ, როცა “ჯგუფი” ხდება ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მხარე. ფინანსური აქტივების ყველა ჩვეულებრივი შესყიდვების აღრიცხვა ხდება ანგარიშსწორების დღეს.

### (iii) შეფასება

თავდაპირველად, ფინანსური აქტივისა თუ პასივის შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი თუ პასივი არაა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი, ემატება ის საოპერაციო ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შემტხასოან ან გამოშვებასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, იმ საოპერაციო ხარჯების გამოქვითვის გარეშე, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს აქტივის რეალიზაციისას ან სხვაგვარად განკარგისას, გარდა:

- იმ სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისა, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით;

- დაფარვამდე დაგავებული იმ ინვესტიციებისა, რომელთა შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით;
- იმ წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებსაც აქტიურ ბაზარზე არა აქვთ კვოტირებული საბაზო ღირებულება და რომელთა სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია, შეფასდება თვითდირებულებით.

ყველა ფინანსური დაგალიანება, გარდა მოგების ან ზარალის მიხედვით სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული დაგალიანებებისა და იმ ფინანსური დავალიანებებისა, რომლებიც წარმოიქმნება მაშინ, როცა სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი არ აკმაყოფილებს აღიარების გაუქმების მოთხოვნას, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

#### (iv) ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან პასივის ამორტიზებული ღირებულება ის თანხაა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან პასივი შეფასდა თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ძირის დაფარვები, პლუს ან მინუს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული კრებსითი ამორტიზაცია თავდაპირველად აღიარებულ თანხასა და დაფარვის თანხას შორის არსებული სხვაობისა, მინუს გაუფასურებასთან დაკავშირებული გამოქვითვა. პრემიები და დისკაუნტები, მათ შორის თავდაპირველი ტრანზაქციის ხარჯები, შეიტანება დაკავშირებული ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და მათ ამორტიზაცია ერიცხება ინსტრუმენტის რეალური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

#### (v) სამართლიანი ღირებულებით შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება ის თანხაა, რომელზეც აქტივის გადაცვლა შესაძლებელია ან რომლითაც ვალდებულება შეიძლება დაიფაროს შეფასების დღეს მცოდნე და სურვილის მქონე დამოუკიდებელ მხარეებს შორის გარიგების საფუძველზე.

“ჯგუფი” ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულებას განსაზღვრავს მოცემულ ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კვოტირებული ფასებით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ კვოტირებული ფასები თავისუფლად და რეგულარულად არის ხელმისაწვდომი და წარმოადგენს ფაქტობრივ და რეგულარულად წარმოებულ საბაზო ტრანზაქციებს დამოუკიდებელ მხარეებს შორის გარიგების საფუძველზე.

თუ ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარი მოქმედი არ არის, “ჯგუფი” სამართლიან დირექტულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების ამგვარი მეთოდები მოიცავს მითითებას მცოდნე და სურვილის მქონე დამოუკიდებელ მხარეთა შორის ახლო წარსულში განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე (მათი არსებობის შემთხვევაში), არსებითად მსგავსი ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო ფასებზე, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზებზე და ოფციური ფასწარმოქმნის მოდელებზე და სხვა მეთოდებზე, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ჩვეულებრივ იყენებენ მოცემული ინსტრუმენტის ფასის განსაზღვრის მიზნით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს საბაზრო რესურსებს, მინიმალურად კურდნობა “ჯგუფისთვის” დამახასიათებელ გაანგარიშებებს, ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიღებული მხედველობაში, და შეესაბამება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების მიღებულ ეკონომიკურ მეთოდებს. შეფასების მეთოდების რესურსები გონივრულად ასახავს საბაზრო მოღოლინებს და მოცემული ფინანსური ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელი რისკებისა და უაუგების ფაქტორების მოცემულობებს.

თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი დირექტულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი ანუ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების სამართლიანი დირექტულება, თუ ამ ინსტრუმენტის სამართლიანი დირექტულება არ დასტურდება იმავე ინსტრუმენტზე დაკირკვებად მიმდინარე საბაზრო გარიგებებთან (ე.ი. მოდიფიკაციის ან გადაფუთვის გარეშე) შედარების საფუძველზე ან იმ შეფასების მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავს მხოლოდ დაკირკვებადი ბაზრების მონაცემებს. როცა გარიგების ფასი უზრუნველყოფს თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი დირექტულების საუკეთესო მტკიცებულებას, ფინანსური ინსტრუმენტი ჯერ გარიგების ფასით ფასდება, ხოლო ამ ფასსა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ დირექტულებას შორის ნებისმიერი სხვაობა შემდეგ სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში ინსტრუმენტის საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში მაგრამ არაუგიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად დასტრუდება დაკირკვებადი ბაზრის მონაცემებით ან გარიგება დაიხურება.

#### (vi) მოვება ან ზარალი შემდგომი შეფასებისას

ფინანსური აქტივისა თუ პასივის სამართლიან დირექტულებაში მომხდარი ცვლილებით გამოწვეული ზრდის ან შემცირების აღიარება ხდება შემდეგი წესით:

- სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ აქტივთან დაკავშირებით ზრდის ან შემცირების აღიარება ხდება კაპიტალში სხვა შემოსავლის სახით (გარდა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ სავალო ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაუფასურების ზარალისა და საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგებისა თუ ზარალისა) აქტივის აღიარების გაუქმებამდე, რა დროსაც კაპიტალში ადრე აღიარებული კრებისით ზრდა ან შემცირება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ აქტივთან დაკავშირებული პროცენტი აღიარდება მიღებულ პროცენტად მოგებაში ან ზარალში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული დირექტორით აღრიცხულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებთან და პასივებთან  
დაკავშირებით, ზრდა ან შემცირება მოგებაში ან ზარალში აღიარდება  
ფინანსური აქტივის ან პასივის აღიარების გაუქმებისას ან გაუფასურებისას, და  
ამორტიზაციის პროცესში.

#### (vii) აღიარების გაუქმება

ფინანსური აქტივის აღიარების გაუქმება ხდება მაშინ, როცა ფინანსური  
აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო  
უფლებების ვადა ამოწურება ან როცა “ჯგუფი” გაასხვისებს აღნიშნული  
ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და  
სარგებელს ან როცა “ჯგუფი” არც გაასხვისებს და არც დაიტოვებს აღნიშნული  
ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და  
სარგებელს და არ შეინარჩუნებს კონტროლს ამ ფინანსურ აქტივზე. აღიარების  
გაუქმების უფლების მქონე გასხვისებულ ფინანსურ აქტივზე ჯგუფის მიერ  
შექმნილი ან შენარჩუნებული ნებისმიერი უფლება ოუ ვალდებულება ფინანსური  
მდგომარეობის ანგარიშში აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად.  
ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარების გაუქმებას ახორციელებს მისი  
სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას ან გაუქმებისას ან ვადის  
ამოწურვისას.

“ჯგუფი” ჩამოწერს უიმედოდ მიჩნეული აქტივებს.

#### (viii) გამოსყიდვისა და უუგამოსყიდვის ხელშეკრულებები

გაყიდვისა და გამოსყიდვის (რეპო) ხელშეკრულებების საფუძველზე  
რეალიზებული ფასიანი ქაღალდები აღირიცხება უზრუნველყოფილი ფინანსური  
გარიგებების სახით. ამ შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდები რჩება ფინანსური  
მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში და კონტრაგენტის  
ვალდებულება შეიტანება რეპო გარიგებების საფუძველზე გადასახდელ თანხებში  
შესაბამისად ან სხვა ბანკების კუთვნილ ბალანსებსა და დეპოზიტებში ან  
კლიენტების მიმდინარე ანგარიშებში და დეპოზიტებში. გაყიდვისა და  
გამოსყიდვის ფასებს შორის სხვაობა წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს და  
აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეპო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში,  
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უპა რეპო ხელშეკრულებების საფუძველზე შეძენილი ფასიანი ქაღალდები  
აღირიცხება უპა რეპო გარიგებების საფუძველზე მისაღებ თანხებად შესაბამისად  
ან სხვა ბანკებში განთავსებულ სახსრებში ან კლიენტებზე გაცემულ სესხებში.  
შესყიდვისა და გაყიდვისა ფასებს შორის სხვაობა წარმოადგენს საპროცენტო  
შემოსავალს და აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეპო ხელშეკრულების  
მოქმედების პერიოდში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის  
გამოყენებით.

უპა გამოსყიდვის ხელშეკრულებით შეძენილი აქტივების მესამე მხარეებზე  
გაყიდვის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების დაბრუნების ვალდებულება  
აღირიცხება სავაჭრო ვალდებულების სახით და მისი ფასი განისაზღვრება  
სამართლიანი ღირებულებით.

### (viii) ბალანსის გამოყვანა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ბალანსის გამოყვანა ხდება და ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშში წმინდა თანხა აღირიცხება, თუ არსებობს აღიარებული თანხების ჩათვლის კანონით აღსრულებადი უფლება და აგრეთვე ვალდებულების მთლიანად დაფარვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა.

### (g) ქონება და მოწყობილობები

#### (i) საკუთრებაში არსებული აქტივები

ქონებისა და მოწყობილობის შემადგენელი კომპონენტები ასახულია თვითიღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოყენებით, გარდა მიწისა და შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც ასახულია გადაფასებული თანხებით ქვემოთ აღწერილი სახით.

როცა ესა თუ ის ქონება ან მოწყობილობა შედგება განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადის ქონე მსხვილი კომპონენტებისგან, ისინი აღირიცხება ცალკე ქონებად ან მოწყობილობად.

#### (ii) გადაფასება

მიწა და შენობა-ნაგებობები ექვემდებარება რეგულარულ გადაფასებას. გადაფასების სისტერე დამოკიდებულია გადასაფასებელი მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიან ღირებულებაში მიმდინარე ცვლილებებთან. გადაფასების ზრდა მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე აღიარებულია სხვა შემოსავლის სახით პირდაპირ კაპიტალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ცვლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულ წინა გადაფასების შემცირებას, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. გადაფასების შემცირება მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ცვლის უშუალოდ კაპიტალში სხვა მთლიანი შემოსავლის სახით აღიარებულ წინა გადაფასების ზრდას, რა შემთხვევაშიც მისი აღიარება ხდება სხვა მთლიან შემოსავალში.

#### (iii) ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადის მიხედვით. ცვეთა იწყება შესყიდვის დღეს ან ადგილობრივად აშენებულ აქტივებთან დაკავშირებით, აღნიშნული აქტივის დასრულებისა და გამოყენებისთვის მხადვოფნის დღიდან. იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებას ცვეთა ერიცხება მოცემული აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის ან იჯარის ვადის მიხედვით, ამ თრი ვადიდან უმოკლესის აღებით. სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადები შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	50 წელი
– კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები	5 წელი
– ავტო და ინგენირი	5 წელი
– აგრომანქანები	5 წელი
– იჯარით აღგბული ქონების გაუმჯობესება	2-3 წელი
– სხვა	10 წელი

#### **(iv) არამატერიალური აქტივები**

“ჯგუფის” მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები ასახულია თვითდირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

“ჯგუფის” მიერ შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხორციელდება შესაძენად და კონკრეტული პროგრამის ექსპლუატაციაში მოსაყვანად გაღებული ხარჯების საფუძველზე.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების საანგარიშო ვადა შეადგენს 10 წელს.

#### **(v) საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება ის ქონება, რომელიც განკუთვნილია ან/და საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ზრდისთვის, მაგრამ არა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში რეალიზაციისთვის ან საქონლის წარმოებაში ან საქონლისა თუ მომსახურების მიწოდებაში გამოყენებისთვის ან აღმინისტრაციული მიზნებისთვის. საინვესტიციო ქონება ფასდება თვითდირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

დირებულებაში შედის ის ხარჯი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საინვესტიციო ქონების შეძენასთან. დირებულებაში შედის მასალებისა და პირდაპირი მუშახელის ხარჯი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ხარჯი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის შესაბამის საექსპლუატაციო მდგრადირეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონების კომპონენტებს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადა აქვს, ისინი აღირიცხება საინვესტიციო ქონების სხვადასხვა საგნად (მირითად კომპონენტებად).

#### (vi) სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივები

არამიმდინარე აქტივები, ან განსაკარგად განკუთვნილი ჯგუფები, რომლებიც მოიცავს აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა ამოღება შესაძლებელია უფრო გაყიდვის და არა მათი შემდგომი გამოყენების გზით, მიეკუთვნება სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივების კატეგორიას. სარეალიზაციოდ განკუთვნილი აქტივების კატეგორიას უშუალოდ მიკუთვნებამდე, ამგვარი აქტივები ან სარეალიზაციოდ განკუთვნილი ჯგუფები გადაფასდება “ჯგუფის” ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურების მიხედვით. ამის შემდეგ, ამგვარი აქტივების ან სარეალიზაციოდ განკუთვნილი ჯგუფების ფასი განისაზღვრება შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დაბალი ღირებულებით: საბალანსო ღირებულება ან სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის საბალანსო განკუთვნილებით.

#### (vii) დასაკუთრებული აქტივები

“ჯგუფი” დასაკუთრებული აქტივების აღიარებას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, როცა ის მიღებს უზრუნველყოფის ობიექტის განკარგვის სრულ და საბოლოო უფლებას და უზრუნველყოფის ობიექტის რეალიზაციიდან მიღებული ნამეტის თავისთვის დატოვების უფლებას.

დასაკუთრებული აქტივების შეფასება ხორციელდება შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დაბალი ღირებულებით: საბალანსო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით. თავდაპირველი აღიარებისას, დასაკუთრებული აქტივების შეფასება ხორციელდება ვადაში დაუფარავი სესხის ღირებულების, მათ შორის უზრუნველყოფის ობიექტის დასაკუთრებისას გაწეული ხარჯის გათვალისწინებით. სამართლიანი ღირებულება, რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით, წარმოადგენს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში უზრუნველყოფის ობიექტის სანგარიშო სარეალიზაციო ფასს, რომელსაც აკლდება შესაბამისი რეალიზაციის ხარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, დასაკუთრებული აქტივები განიხილება მათი რეალიზაციისთვის განკუთვნილი აქტივების კატეგორიისთვის მიკუთვნების მიზნით და შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში კლასიფიცირდება შესაბამისად.

დასაკუთრებული აქტივები შეიტანება სხვა აქტივებში.

დასაკუთრებული აქტივების განკარგვით მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება წმინდად მოგებაში ან ზარალში არსებულ “სხვა საოპერაციო შემოსავლის” განყოფილებაში.

## (ზ) გაუფასურება

### (i) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ძირითადად შედგება სესხებისა და სხვა მისაღები სახსრებისგან (“სესხები და სხვა მისაღები სახსრები”). “ჯგუფი” რეგულარულად განიხილავს სესხებსა და მისაღებსახსრებს გაუფასურების განსაზღვრის მიზნით. სესხის ან მისაღები სახსრების გაუფასურება ხდება და გაუფასურების ზარალი დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმ გაუფასურების დადგომის ობიექტური მტკიცებულება, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე იმ მოვლენით, რომელიც/რომლებიც მოხდა სესხის ან მისაღები სახსრების თავდაპირების დაიარების შემდეგ და ამგვარმა მოვლენამ (ან მოვლენებმა) ზეგავლენა იქონია სესხის მომავალი პერიოდის სავარაუდო ფულად ნაკადებზე, რომლის სარწმუნოდ გაანგარიშებაც შესაძლებელია.

ობიექტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურდა, მოიცავს მსესხებლის მიერ სესხის თანხის გადაუხდელობის ან სესხთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებისა თუ პირობის დარღვევის შემთხვევას, სესხის რესტრუქტურიზაციას ან ავანსის გაცემას ისეთი პირობებით, რომლებსაც “ჯგუფი” სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა, ნიშნებს იმის თაობაზე, რომ მსესხებელი ან თავმდები გაპოტრდება, ფასიანი ქაღალდისთვის აქტიური ბაზრის გაქრობას, უზრუნველყოფის გაუფასურებას ან აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული სხვა შესამჩნევი მონაცემებს, მაგალითად, ჯგუფში შემავალი მსესხებლების გადახდის მაჩვენებელში უარყოფითი ცვლილებებს, ან ეკონომიკური ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალი მსესხებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

პირველ რიგში, “ჯგუფი” განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად სესხებისა და მისაღები სახსრებისთვის, რომლებიც ცალკევალკე მნიშვნელოვანია, და ცალკევალკე ან ერთობლივად სესხებისა და მისაღები სახსრებისთვის, რომლებიც ცალკევალკე არაა მნიშვნელოვანი. იმ შემთხვევაში, თუ “ჯგუფი” დააღდგნს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული სესხისა და მისაღები თანხისთვის (მიუხდავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა), მას აღნიშნული სესხი შეაქვს მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე სესხებისა და მისაღები სახსრების ჯგუფში და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად შეფასებული სესხები და მისაღები სახსრები, რომლებთან დაკავშირებითაც გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება და გრძელდება, გაუფასურების ერთობლივი შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სესხთან ან მისაღებ თანხასთან დაკავშირებით გაუფასურების ზარალის დადგომის ობიექტზე მტკიცებულება, ამ ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა სესხის ან მისაღები თანხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის ან მისაღები თანხის, მათ შორის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული გარანტიებიდან და უზრუნველყოფიდან ამოღებადი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. მოსალოდნებლი ფულადი ნაკადების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და მიმდინარე კონომიკური პირობების ამსახველი შესაბამისი შესამჩნევი მონაცემების საფუძველზე დაკორექტირებული ისტორიული ზარალი.

ზოგ შემთხვევაში, სესხზე ან მისაღებ თანხაზე დამდგარი გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრისთვის აუცილებელი შესამჩნევი მონაცემები შეზღუდულია ან სრულად აღარ შეესაბამება მიმდინარე მდგომარეობას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა მსესხებელს აქვს ფინანსური პრობლემები და მსგავსი მსესხებლების შესახებ ხელმისაწვდომი ისტორიული მონაცემები მცირეა. ამ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობის განსაზღვრის მიზნით “ჯგუფი” ეკრანობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას.

სესხებთან და მისაღებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშზე და იცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამოღებადი თანხის შემდგომი ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს აღნიშნული გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას.

როცა სესხის ამოღება შეუძლებელია, მისი ჩამოწერა ხდება სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვის ხარჯზე. “ჯგუფი” სესხის ნაშთის (და სესხის გაუფასურების შესაბამისი რეზერვის) ჩამოწერას ახორციელებს მაშინ, როცა მენეჯმენტი დაადგენს, რომ სესხის ამოღება შეუძლებელია და სესხის ამოსაღებად აუცილებელი ყველა ზომა გატარებულია.

### (ii) თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოიცავს სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომ იმ აქტივებში შეტანილ არაკოტირებულ წილობრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით იმის გამო, რომ მათი სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ განსაზღვრა შეუძლებელია. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება ამგვარი ინსტრუმენტების გაუფასურების თაობაზე, გაუფასურების ზარალი იანგარიშება როგორც სხვაობა ინვესტიციის საბალანსო ღირებულებასა და მსგავსი ფინანსური აქტივისთვის მიმდინარე საბაზრო შემოსავლიანობის ნორმით დისკონტირებულ მომავალი საანგარიშო ფულადი ნაბადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

ამ ინვესტიციებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება შემოსავალში ან ზარალში და დაუშენებელია მათი შეცვლა.

### (iii) სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების აღიარება ხდება სხვა მთლიან შემოსავალში აღიარებული კრებსითი ზარალის მოგებაში ან ზარალში გადატანით, რეკლასიფიკაციის კორექტირების ფარგლებში. სხვა მთლიან შემოსავლიდან შემოსავალში ან ზარალში გადატანილი კრებსითი ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა შესყიდვის დირექტულებას (თავდაპირებელი დაფარვისა და ამორტიზაციის გამოქვითვით) და სამართლიან დირექტულებას (მოგებაში ან ზარალში მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გამოყენებით) შორის. დროებითი დირექტულებით გაუფასურების რეზერვებში გამოწვეული ცვლილებები აისახება საპროცენტო შემოსავლის შემადგენელი ნაწილის სახით.

თუ შემდგომ პერიოდში სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ვალის გაუფასურებული უზრუნველყოფის სამართლიანი დირექტულება გაიზარდა და ეს ზრდა ობიექტურად დაკავშირებულია მოგებაში ან ზარალში გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ დამდგარ მოვლენასთან, გაუფასურების ზარალი კორექტირდება და კორექტირების თანხა აიღება მოგებაში ან ზარალში. ამასთან, სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი გაუფასურებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის სამართლიანი დირექტულების შემდგომი ამოღება აღიარდება სხვა მთლიან შემოსავალში.

#### (iv) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, „ჯგუფის“ სხვა არაფინანსური აქტივების საბალისო დირექტულება განისაზღვრება თითოეულ ანგარიშების დღეს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშანი. აქტივების ანაზღაურებადი დირექტულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი დირექტულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენებითი დირექტულება და მისი სამართლიანი დირექტულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენებითი დირექტულების შეფასებისას სამომავლო სააგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე დირექტულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახვს ფულის დროითი დირექტულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახისიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი დირექტულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალისო დირექტულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად დირექტულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემოხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი დირექტულების განისაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალისო დირექტულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად დირექტულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

## (თ) საკრედიტო ვალდებულებები

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, “ჯგუფი” კისრულობს საკრედიტო ვალდებულებებს, რომლებშიც შედის: აუთვისებელი სასესხო ვალდებულებები, აქრედიტივები და გარანტიები, და უზრუნველყოფს სხვა ფორმის სესხის დაზღვევებს.

ფინანსური გარანტიები ის ხელშეკრულებებია, რომლებიც “ჯგუფს” ავალდებულებს განახორციელოს კონკრეტული თახების გადახდა გარანტიის მფლობელისთვის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მას მიადგება კონკრეტული მოვალის მიერ თანხის დადგენილ დროს, სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადაუხდელობის შედეგად.

თავდაპირველად ფინანსური გარანტიის ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი დირექტულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოქვითვით. ფინანსური გარანტიის ვალდებულება იანგარიშება, როგორც შემდეგი ორი თანხიდან უფრო მაღალი თანხა: თავდაპირველად აღიარებული თანხა დაგროვილი ამორტიზაციის გამოყლებით ან საგარანტიო ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი ზარალის რეზერვის თანხა. ფინანსური გარანტიების ფარგლებში გამოყოფილი ზარალის რეზერვებისა და სხვა საკრედიტო ვალდებულებების აღიარება ხდება მაშინ, როცა დანაკარგები შესაძლოდ მიიჩნევა და სარწმუნოდ განისაზღვრება.

ფინანსური გარანტიის ვალდებულებები და სხვა საკრედიტო ვალდებულებების რეზერვები აისახება სხვა ვალდებულებებში.

## (ი) საწესდებო კაპიტალი

### (i) ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები მიეკუთვნება კაპიტალს.

### (ii) პრემია აქციებზე

პრემია აქციებზე იანგარიშება გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებასა და ამავე აქციებზე გადახდილ თანხას შორის სხვაობის სახით.

### (iii) დივიდენდები

“ჯგუფის” მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის შესაძლებლობა ექვემდებარება საკართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდები აისახება გამოცხადების პერიოდში გაუნაწილებელი მოვების ასიგნების სახით.

## (კ) დაბეგვრა

საშემოსავლო გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული

გადასახადებისგან. საშემოსავლო გადასახადის აღიარება ხდება შემოსავალში ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის დაკავშირებულია სხვა მთლიანი შემოსავლის პუნქტებთან ან უშუალოდ კაპიტალში აღიარებულ აქციონერებთან განხორციელებულ გარიგებებთან, რა დროსაც მისი აღიარება ხდება სხვა მთლიან შემოსავალში ან უშუალოდ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის მოსალოდნელი გადასახდელი გადასახადი დაბეგვრად შემოსავალზე წლის განმავლობაში, დადგენილი ან ანგარიშების დღეს ფაქტობრივად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, და წინა წლებთან დაკავშირებით ხებისმიერი გადასახდელი გადასახადის შესწორებით.

გადავადებული გადასახადი ასახულია ფინანსური ანგარიშების მიზნებისთვის აქტივებისა და პასივების საბალანსო დირებულებებსა და გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების გათვალისწინებით. გადავადებული გადასახადი არ აღიარდება შემდეგ დროებით სხვაობებთან დაკავშირებით: აქტივებისა და პასივების თავდაპირებელი აღიარებიდან გამომდინარე ის დროებით სხვაობები, რომლებიც გავლენას არ ახდენს არც აღრიცხვზე და არც დასაბეგრ მოგებაზე, და ის დროებითი სხვაობები, რომლებიც დაკავშირებულია იმ შვილობილ საწარმოებში განხორციელებულ ინგესტიციებთან, სადაც სათაო კომპანია აკონტროლებს დროებითი სხვაობების კორექტირების დროს და არსებობს იმის ალბათობა, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ შეიცვლება. გადავადებული გადასახადის თანხის გაანგარიშება ხდება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია დროებითი სხვაობების კორექტირების დროს, ანგარიშების დღეს ფაქტობრივად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება იმ პირობით, რომ შესაძლოა არსებოდეს სამომავლო დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაში შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების, გამოყენებელი საგადასახადო ზარალისა და ჩათვლების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივები შემცირდება იმ ზომით, რომ მეტად აღარ იქნება შესაძლებელი შესაბამისი საგადასახადო შეღავათით სარგებლობა.

## (ლ) შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება შემოსავალში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის დამტკიცების საკომისიოები, სესხის მომსახურების საკომისიოები და სხვა საკომისიოები, რომლებიც განხაზღვრავს სესხის საერთო მომგებიანობას, შესაბამის საოპერაციო ხარჯებთან ერთად, გადავადდება და ექვემდებარება ამორტიზაციის დარიცხვას საპროცენტო შემოსავალზე ფინანსური ინსტრუმენტის საექსპლუატაციო პერიოდში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა საკომისიოები და სხვა შემოსავალი და ხარჯი შემოსავალში ან ზარალში აიღება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

**სს „გაზისბანერი“**

2011 წლის 31 დეკემბრით დახრულებული წლისთვის ნაერთ ფინანსურ ანგარიშებზე  
თანდართული შენიშვნები, რომლებიც წარმოადგენს  
ამავე ანგარიშების განცემულები ნაწილს

საიპერაციო იჯარის საფუძველზე განხორციელებული გადახდები შემოსავალში  
ან ზარალში აიღება იჯარის პერიოდში სწორხაზოვანი მეთოდით. მიღებული  
საიჯარო შეღავათები აღიარდება იჯარის პერიოდში მთლიანი საიჯარო ხარჯის  
შემადგენელი ნაწილის სახით.

**(მ) ბუღალტრული აღრიცხვის ჯერ კიდევ მიუღებელი ახალი სტანდარტები  
და ინტერპრეტაციები**

მოქლილი რიგი ახალი სტანდარტები, სტანდარტების და განმარტებების ცვლილებები ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და არ გამოიყენება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებისას. ქვემოთ მითითებული სიახლეები საგარაუდოდ გავლენას მოახდენს „ჯგუფის“ ფინანსურ მდგომარეობაზე და საქმიანობაზე „ჯგუფს“ აპირებს ამ სიახლეების გამოყენებას, როცა ისინი ძალაში შევა.

- ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ (ძალაში შედის 2015 წლის 1-ლი იანვრით ან მას შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტი გამოიცემა რამდენიმე ეტაპად (ნაწილად) და შეცვლის ბასს 39-ს – „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. ფასს 9-ის პირველი ეტაპი (ნაწილი), რომელიც 2009 წლის ნოემბერში გამოიცა, დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან. მეორე ეტაპი (ნაწილი), რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან, გამოქვეყნდა 2010 წლის ოქტომბერში. ამ სტანდარტის დანარჩენი ნაწილები გამოქვეყნდება 2012 წლის განმავლობაში. „ჯგუფი“ აღიარებს, რომ ამ ახალი სტანდარტით მრავალი ცვლილება შედის ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვაში და რომ მათ საგარაუდოდ მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებზე. ამ ცვლილებების ზეგავლენა გაანალიზდება პროექტის მოქმედების პერიოდში, სტანდარტის შემდგომი ნაწილების გამოქვეყნების კვალობაზე. „ჯგუფი“ არ აპირებს ამ სტანდარტის აღრეულ ეტაპზე გამოყენებას.
- ფასს 10 – ნაერთი ფინანსურ ანგარიშები – ძალაში შედის 2013 წლის 1-ლი იანვრით და მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ეს ახალი სტანდარტი ცვლის ბასს 27-ს („ნაერთი და ცალკეული ფინანსური ანგარიშები“ და SIC-12-ს „კონსოლიდაცია – სპეციალური დანიშნულების სუბიექტები“).

- გათვალისწინებულ კონტროლთან და კონსოლიდაციასთან დაკავშირებულ ფაქტი სახელმძღვანელო მითითებას. ფასს 10-ით იცვლება კონტროლის განსაზღვრება ისე, რომ იგივე კრიტერიუმი ვრცელდება ყველა სუბიექტზე კონტროლის განსაზღვრის მიზნით. ამ ეტაპზე, ბანკი აფასებს შეცვლილი სტანდარტის ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშებზე. ფასს 10 ითვალისწინებს ერთიანი კონტროლის მოდელს, რომელიც მოიცავს იმ სუბიექტებს, რომლებიც ამჟამად SIC-12-ის რეკლამირების სფეროში შედის. ამ ახალი სამსაფეხურიანი კონტროლის მოდელის მიხედვით, ინვესტორი იმ საწარმოს, რომელშიც ინვესტიცია ჩაიდო, აკონტროლებს იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს ხელი მიუწვდება ან აქვს უფლებები მისი ხელშეულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციებიდან ცვლად უპაგებებზე, აქვს უნარი ხელშეულ საწარმოზე თავისი უფლებამოსილებით გავლენა იქნიოს ამ უპაგებებზე და არსებობს კავშირი უფლებამოსილებასა და უპაგებებს შორის. კონსოლიდაციის პროცედურები გადაიტანება იას 27-დან (2008). თუ ფასს 10-ის მიღება არ იწვევს წინა ინვესტიციის მიმღები საწარმოს კონსოლიდაციის ან არა-კონსოლიდაციის ცვლილებას, თავდაპირველი გამოყენებისას აღრიცხვაში კონტრიტოების განხორციელება აუცილებელი არ არის. თუ ფასს 10-ის მიღება იწვევს წინა ინვესტიციის მიმღები საწარმოს კონსოლიდაციის ან არა-კონსოლიდაციის ცვლილებას, ახალი სტანდარტი შეიძლება მიღებულ იქნას ან კონტროლის ხელშე აღების ან დაკარგვის დღიდან სრული რეტროსპექტული ეფექტით ან, თუ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, არასრული რეტროსპექტული ეფექტით იმ უაღრესი პერიოდის დასაწყისიდან, საიდანაც სტანდარტის გამოყენება შესაძლებელია, რაც მიმდინარე პერიოდი შეიძლება იყოს. ფასს 10-ის ნაადრევად მიღება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი ნაადრევად მიიღებს ფასს 11-ს, ფასს 12-ს, ბასს 27-ს (2011) და ბასს 28-ს (2011).
